რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 104-105 (18346-7) სამშაბათი, 4 მაისი, 1982 წელი ფასი 5 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1982 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და 1982-83 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“

იმ მიზნით, რომ დროულად მოეწყოს მოსავლის აღება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება და წარმატებით განხორციელდეს პირუტყვის ზამთრობა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის „სახსოფლტექნიკას“, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზს“, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და დამამზადებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალეს უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების დროული მზადება 1982 წელს მოსავლის აღების; სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის, აგრეთვე პირუტყვის ზამთრობის წარმატებით მოწყობა 1982-83 წლის პერიოდში, რისთვისაც:

— დააკომპლექტონ მეურნეობანი ტრაქტორისტ-მემანქანეებით მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატებისა და კომბაინების ორ ცვლად მუშაობისათვის, უზრუნველყონ მექანიზატორთა კვალიფიკაციის ამაღლება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკის გამოყენების მოწინავე მეთოდების დანერგვა, მოსავლის აღების სამუშაოთა ორგანიზაცია მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსების (რაზმების) გამოყენების საფუძველზე, ფართოდ გაშალონ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება უდიდესი შრომის ნაყოფიერების მისაღწევად, ამასთან უზრუნველყონ სამუშაოთა მაღალი ხარისხი და მოსავლის ასაღები მანქანების სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენება;

— უზრუნველყონ მეურნეობებში მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების პერიოდში საზოგადოებრივი კვების კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების სათანადო ორგანიზაცია;

— შეიმუშაონ და განახორციელონ ყოველ მეურნეობაში ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხელს შეუწყობს ხბორების, გოჭების, ბატკნების, აგრეთვე ფრინველის მოზარდეულის მაქსიმალურ მატებას, აგრეთვე საზოგადოებრივი ჯოგის საჭირო ზრდას, სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყი-

[illegible]

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მოსავლის აღების, დამამზადებელ პუნქტებსა და შენახვის ადგილებში გადაზიდვის დროს თავიდან იქნეს აცილებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები;

[illegible]

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი

„ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ მეორე საერთაშორისო კონგრესის მიმართვაზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის 3-6 აპრილს ინგლისის ქალაქ კემბრიჯში გამართულმა „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ მეორე საერთაშორისო კონგრესმა მიიღო მიმართვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანისადმი. მიმართვაში, რომელსაც კონგრესის მონაწილეთა სახელით ხელი მოაწერეს მისმა თანათავმჯდომარეებმა პროფესორმა ბ. ლაუნმა (ამერიკის შეერთებული შტატები) და აკადემიკოსმა ე. ი. ჩაზოვმა (სსრ კავშირი), ლაპარაკია ბირთვული ომის კატასტროფული შედეგების შესახებ. „დროის მოთხოვნაა, — ნათქვამია მიმართვაში, — გამოვრიცხოთ თვით

[illegible]

განვამტკიცოთ შეძენილი გამოცდილება, კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტორგანიზაციების ავტორიტეტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პირველ რესპუბლიკურ კრებაზე 1982 წლის 27 აპრილს

ამხანაგებო!

მე დავალებული მაქვს გამოვიდე ჩვენი კრების დასასრულს.

ამრიგად, ეს რამდენადმე საბოლოო სიტყვაა, რომელიც მინდა დავიწყო იმით, რომ დღეს არცთუ ისე ჩვეულებრივი კრება გვაქვს. მართლაც, აქ დამსწრეთაგან ვერავის ვერ უსაყვედურებ, რომ იშვიათად ესწრება კრებებს. მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისეთ კრებაში, როგორიც დღევანდელია, ჯერჯერობით არც ერთ ჩვენგანს არ მიუღია მონაწილეობა.

დღეს ჩვენთან პირველად იმართება **პირველადი პარტიული ორგანიზაციების** მდივნების კრება, თანაც **რესპუბლიკური** კრება. და გვახარებს, რომ ჩვენი ასეთი პირველი ცდა უთუოდ წარმატებით დამთავრდა. ნამდვილად კარგი კრება გამოდგა. გაიმართა კარგი, დაინტერესებული, სასარგებლო, მრავალი თვალსაზრისით ჭკუის სასწავლი სჯა-ბაასი. მხედველობაში მაქვს არა მარტო დღევანდელი აზრთა გაზიარება, არამედ უკანასკნელი დღეების მანძილზე გაწეული მთელი მუშაობაც.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების რესპუბლიკური კრება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის მთელი პარტორგანიზაციის ცხოვრებაში, ვინაიდან სწორედ პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც პარტიის საფუძველს შეადგენენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის მთავარი რგოლებია, მათი საქმიანობა მთელი შინაპარტიული მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა, პარტიაში მათ წამყვანი როლი ეკუთვნით.

ჩვენი კრება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაოდენ დიდ, რაოდენ შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი პარტიული მშენებლობის, შინაპარტიული მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებს.

ცხადყო რა ურღვევი ერთგულება პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა შეიმუშავა ღონისძიებანი პარტიულ ხელმძღვანელობაში სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის, ადმინისტრირების ელემენტების დასაძლევად, აღადგინა ერთიანი საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციები, კვლავ შექმნა პარტიის რაიონული კომიტეტები, რომლებშიც თავი მოუყარა ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. როგორც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით, პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები კვლავ აიგო ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით — ერთადერთი სწორი, ნაცადი ლენინური ნიშნით.

სკკპ XXIII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებანი ახალი, განსაკუთრებული ძალით ადასტურებენ, რაოდენ დიდ და მუდმივ ზრუნვას იჩენს პარტია თავისი პირველადი ორგანიზაციებისათვის, მათი ინიციატივისა და თვითმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის, პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში მათი როლისა და მნიშვნელობის გადიდებისათვის, რაც უზრუნველყოფილია ცვლილებებითა და დამატებებით, რომლებიც ყრილობებმა შეიტანეს სკკპ წესდებაში.

პარტიაში პირველადი ორგანიზაციების როლისა და ადგილის შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში, ისევე როგორც პარტიული მშენებლობის ყველა აქტუალური პრობლემის გადაწყვეტაში, უდიდესი წვლილი შეაქვს თავისი ნაშრომებითა და გამოსვლებით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომელმაც თქვა, რომ **პარტიის შემდგომი განმტკიცების ამოცანა დაბეჯითებით მოითხოვს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას.**

საამქრო ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების ფართო ქსელთან ერთად პირველადი პარტორგანიზაციები, მისი თქმით, გადამწყვეტ როლს ასრულებენ პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში, კომუნისტთა აღზრდაში, აკავშირებენ პარტიას მასებთან, მოქმედებენ იქ, სადაც მიმდინარეობს მშენებლობისა და აღმშენებლობის უშუალო პროცესი.

პარტიის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ლენინური სტილის, ლენინური მეთოდების დამკვიდრების, მისი შემდგომი სრულყოფის, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, პირველადი პარტორგანიზაციების განმტკიცების მიზნით დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო, პოლიტბიუროს სხვა წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები.

ძირეულ პარტიულ რგოლებს ბოლო ხანს უდიდესი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაშიც, რასაც მოწმობს ამას წინათ პრაღაში გამართული სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების იმ მდივნების თათბირი, რომლებიც ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებს განაგებენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ი. ვ. კაპიტონოვი, რომელმაც გააკეთა მოხსენება.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გამართულ თათბირზე, როგორც ითქვა, ფართოდ გაუზიარეს ერთმანეთს პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში პირველადი პარტორგანიზაციების როლის გაძლიერებისათვის, შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და საქმიანობაზე, მოძმე პარტიების ყრილობების მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაზე მათი გავლენის გადიდებისათვის მუშაობის გამოცდილება.

ამ თათბირის ყველა მასალა და დოკუმენტი ქვეყნდება ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნში“, და ჩვენ დაბეჯითებით გირჩევთ ყველას, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს, ყურადღებით გაეცნოთ და შეისწავლოთ ისინი. ეს ძალზე ბევრ რამეს მოგცემთ.

დღეს კი ჩვენ **საქართველოს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების პირველი რესპუბლიკური კრება გვაქვს.**

ეს ღონისძიება ფრიად მნიშვნელოვნად წარმოგვიდგება როგორც **ფორმით,** ისე **შინაარსითაც.**

დავიწყებთ ფორმით, რადგან ეს საქმე სრულიადაც არ არის ფორმალური.

ამ კრებამ მუშაობა დაიწყო ერთი კვირის წინათ, მაგრამ მისთვის მზადება უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს.

ყველა თქვენგანმა, ალბათ, ნახა — ბევრმა ამხანაგმა თქვა ეს — მიმდინარე წლის თებერვალში პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი მიძღვნილი საქართველოს ტელევიზიის სპეციალური გადაცემა, რომელშიც ფართოდ და მრავალმხრივ იყო დაყენებული მათი ავტორიტეტის ამაღლების, კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაძლიერების პრობლემა. ამ საქმიან სჯა-ბაასში მეტად საინტერესო ადამიანები მონაწილეობდნენ.

გადაცემამ მხურვალე გამოხმაურებანი გამოიწვია, პრაქტიკულად იგი ნახა საქართველოს მთელმა პარტორგანიზაციამ. და ამ თავისებურ საერთო-რესპუბლიკურ პარტიულ კრებაზე დაწყებული სჯა-ბაასი გაგრძელდა ბევრ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კრებები არსებითად გადაიქცა თავისებურ პარტიულ რეფერენდუმად, რომელშიც ჩაბმული იყო რესპუბლიკის თითქმის ყველა კომუნისტი. შემოვიდა ძალიან ბევრი წინადადება, რეკომენდაცია, რჩევა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ფართო ნაკადად იღებს მათ. და ყველა ეს წინადადება, აგრეთვე ისინი, რომლებიც ამ ტრიბუნიდან გამოითქვა, დიდი ყურადღებით უნდა შევისწავლოთ.

პირველადს ორგანიზაციებში ამ კრებების შემდეგ რესპუბლიკის მთელ რიგ რეგიონებში გაიმართა მდივნების ჯგუფური კრებები — სამოც საბაზო პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. ასეა საქმე **ფორმის** თვალსაზრისით.

რაც შეეხება **შინაარსს,** ამ მუშაობამ უთუო სარგებლობა მოგვიტანა. ამის შესახებ ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც კი ამ დარგში შეგვიძენია, საყოველთაო კუთვნილება გახდა.

დღეს ერთი კვირის მანძილზე გაწეული მუშაობის დამამთავრებელი ეტაპი გვაქვს. მე ვიტყოდი, დღევანდელი სხდომა — ეს არის რესპუბლიკური კრების მშვენიერი დასკვნითი აკორდი. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. გ. ვ. კოლბინის, ცენტრალური კომიტეტის მდივნების ამხ. გ. ნ. ენუქიძისა და ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის ამხ. ს. ე. ხაბეიშვილის თუმცა ფორმით მოკლე, მაგრამ ერთობ შინაარსიანი მოხსენებანი. ამ მოხსენებებში ღრმად არის ნაჩვენები პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი, მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები. მხედველობაში გვაქვს აგრეთვე კამათის მონაწილეთა ფრიად საინტერესო, საფუძვლიანი გამოსვლები.

უნდა ვაღიარო, ამხანაგებო, ვუსმენდი, როგორ მსჯელობდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, რა მნიშვნელოვან, საარსებო საკითხებს სვამდნენ, რა ღრმად სწვდებოდნენ პრობლემებს, და, როგორც იტყვიან, გული ხარობდა. ჩვენს წინაშე ახლებურად, ახალი თვისებით წარმოდგნენ ამ ძირეული, გადამწყვეტი რგოლის პარტიული მუშაკები. ასე დაახნია განვლილმა წლებმა თავისი კვალი პირველადი პარტორგანიზაციის მდივანსაც, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი. ეს სრულიადაც არ არის ის მდივანი, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გვყავდა. ადამიანები ჩვენს თვალწინ იცვლებიან. და იცვლებიან უკეთესობისაკენ. ეს კარგის მომასწავებელი ნიშანია.

ამასთან რესპუბლიკური კრების მიმდინარეობის დროს გამოვლინდა პირველადი ორგანიზაციების მუშაობის არა მარტო **ძლიერი,** არამედ **სუსტი** მხარეებიც.

ჩვენი ამოცანა ახლა ის არის, რომ, **ერთი მხრივ,** განვაზოგადოთ ყოველივე მნიშვნელოვანი, დადებითი, მთელი შეძენილი გამოცდილება და, **მეორე მხრივ,** ყურადღებით გავერკვეთ არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებში, შევიმუშაოთ მათი დაძლევის ღონისძიებანი, თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ ძირეული პარტიული რგოლების მუშაობა.

საქმის **სწორედ ამ ორ მხარეს** მინდა შევეხო.

თუ **დადებითი გამოცდილების** შესახებ ვილაპარაკებთ, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებული დადგენილების შემდეგ განვლილი მთელი ათი წლის პერიოდი ახეთი გამოცდილების შეძენის პერიოდი იყო.

10 წელი. არცთუ ისე მცირე დროა. მან საშუალება მოგვცა გაგვეაზრებინა ამ წლების მანძილზე ყოველივე განვლილი და განცდილი, ახლებურად დაგვენახა მიღწეული და ჯერ კიდევ გაუკეთებელი. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ათი წლის მუშაობის შედეგები შეჯამდა წინა თვეში გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე, რომელმაც ამ თარიღთან დაკავშირებით მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი საბჭოთა საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი.

ამ დადგენილებას მუდამ მივმართავდით და მომავალშიც მივმართავთ. ახლა კვლავ გადავიკითხეთ იგი, და განსაკუთრებით რელიეფურად წარმოგვიდგა ის ცვლილებანი, რომლებიც ამ წლების მანძილზე მოხდა მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, არსებითად, ყოველი პირველადი ორგანიზაციის ცხოვრებაში.

რაკი დღეს საქმე პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ეხება, თავს ნებას მივცემ შეგახსენოთ, რომ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამია:

„პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები საკმაოდ არ ზრუნავენ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, გააძლიერონ მათი გავლენა საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობაზე. ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არ ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს იმისათვის, რომ გააძლიერონ კომუნისტთა აქტიურობა, მათი ინიციატივა, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა“.

და შემდეგ:

„პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი საკმარისად ვერ სწვდება რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას აპარატის საქმიანობის სრულყოფისა და ხელმძღვანელი კადრების აღზრდისათვის“ და ა. შ.

ასეთი ვითარება გვქონდა 1972 წელს.

როცა კითხულობ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელიც მიღებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივითა და პირადი მითითებით, ამ პარტიული დოკუმენტის ნაწყვეტების გვერდით ლაგდება ათი წლის შემდეგ მოცემული სხვა შეფასებანი. ნება მიბოძეთ, მოვიყვანო ეს შეფასებანიც.

სკკპ XXVI ყრილობაზე ითქვა, რომ **საქართველოს კომპარტიამ მნიშვნელოვნად დააჩქარა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპი.**

იმავე დღეებში ითქვა:

— **საქართველოში საქმე კარგად მიდის.**

რამდენიმე თვის შემდეგ კი, გასული წლის მაისში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავის დღესასწაულობის დღეებში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ბრძანა, რომ **ჩვენი რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში ახლა ნიადაგ მატულობს, რომ ათ წელიწადში მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა, რომ მეათე ხუთწლედის დავალებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულდა და, ბოლოს, რომ საქართველომ გულდაჯერებით დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედი.**

და თითქოს რესპუბლიკის ყველა წარმატების საბოლოო შეფასებად გაისმა ლეონიდ ილიას ძის სიტყვები:

— **საქმე კარგად მიდის!**

ასეთი ვითარება გვაქვს 1982 წელს.

ორ მოყვანილ შეფასებას შორის 10 წელია, საქართველოს ყველა კომუნისტის ცხოვრებისა და ბრძოლის 10 წელი. ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან რესპუბლიკის ჩამორჩენის თანდათანობითი, მაგრამ მტკიცე დაძლევის, თითოეულ ცალკეულ შრომითს კოლექტივში და მთლიანად მთელ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის სულ უფრო მეტი გაჯანსაღების 10 წელი.

I.

მინდა ამხანაგებმა იცოდნენ, რა არის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ასეთი მაღალი შეფასებების მიღმა.

ბევრი რამ, რასაც დღეს ვიტყვი, ამხანაგებმა, ალბათ, იციან. მაგრამ, რაკი პირველად შევიკრიბეთ ასეთი შემადგენლობით, საჭიროდ მიმაჩნია დავასახელო ზოგიერთი მონაცემი. რაც უკეთ გეცოდინებათ ისინი, მით უფრო ნათლად წარმოიდგენთ, როგორია პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი ჩვენი მორიგი ამოცანების გადაწყვეტაში, რა ადგილი გეკუთვნით მთელ ამ მუშაობაში პირადად თქვენ, ყველაზე მრავალრიცხოვან პარტიულ ხელმძღვანელებს, ჩვენი პარტიის ძირეული რგოლების ნამდვილ პარტიულ ლიდერებს.

ეკონომიკის დარგში ამ წლების მთელი მუშაობის მთავარი შედეგია რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებული ზრდა, დიდი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ძვრები, რომლებიც ახასიათებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას.

ათი წლის მანძილზე მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი 90 პროცენტით გაიზარდა, წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 96, ხოლო მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული — 74 პროცენტით. სწორედ ამ მაჩვენებლების ზრდით პოულობს კონცენტრირებულ გამოხატულებას საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი განვითარება.

ამ პერიოდში **მრეწველობის** მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 96 პროცენტით, მათ შორის საწარმოო საშუალებათა წარმოება — 97 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება — 93 პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 1,8-ჯერ და მეტად, რის მეოხებითაც ამ სფეროში საშუალო საკავშირო დონისაგან ჩამორჩენა 11,7 პუნქტით შემცირდა.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1,3-დან 2,2 მილიარდ მანეთამდე გადიდდა. ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა თითქმის ხუთ პროცენტს მიაღწია. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია ქვეყანაში. მთლიანად ათ წელიწადში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან 20 პროცენტით შემცირდა. სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან უზრუნველყოფილია ჩაის ფოთლის, ყურძნის, ციტრუსების რეკორდული მოსავალი. შესამჩნევი ძვრები მოხდა მეხილეობაში, მებოსტნეობაში, მეცხოველეობასა და სხვა დარგებში.

ამაღლდა **კაპიტალური მშენებლობის** ეფექტიანობა. 1981 წელს 1971 წელთან შედარებით კაპიტალური დაბანდებანი დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე გაიზარდა 65 პროცენტით, ხოლო ამოქმედებული ძირითადი ფონდების ღირებულება — 82 პროცენტით, ესეც ძალიან კარგი მაჩვენებელია. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა გაიზარდა 43 პროცენტით. ამ სამუშაოთა ხვედრითი წილი კი კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში ამ ხნის მანძილზე თითქმის შვიდი პუნქტით შემცირდა.

ამოქმედდა ელექტროენერგიის, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, საშენი მასალების დიდი საწარმოო სიმძლავრენი. აშენდა მეფრინველეობის ფაბრიკები და მეცხოველეობის სადგომები, მრეწველობისა და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები.

მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ **საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის სრულყოფა.** მრეწველობის, განსაკუთრებით ისეთი დარგების უპირატესი განვითარების შედეგად, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, შესამჩნევად გაიზარდა სახალხო მეურნეობის ამ დარგის წილი მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალში.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დამახასიათებელი ნიშანია საზოგადოებრივი წარმოების განვითარების **ინტენსიური ფაქტორების ზრდა.** საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება ათწლეულში გაიზარდა 80 პროცენტით: მრეწველობაში — 67 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში — 65 პროცენტით, მშენებლობაში — 56 პროცენტით.

ამ მაჩვენებლის მეოხებით მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების დაახლოებით 90 პროცენტი, სამრეწველო პროდუქციის მატების 82 პროცენტი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელი მატება.

რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის დაჩქარებულმა ზრდამ უზრუნველყო **საერთო-საკავშირო დოვლათში მისი წვლილის მნიშვნელოვანი გადიდება.** საქართველოს წილი მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტში 1,4-დან 1,6 პროცენტამდე გაიზარდა; წარმოებულ ეროვნულ შემოსავალში — 1,4-დან 1,7 პროცენტამდე, მრეწველობის მთლიან პროდუქციაში — 1,2-დან 1,4 პროცენტამდე; სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში — 1,25-დან 1,7 პროცენტამდე.

რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების არსებითმა გაუმჯობესებამ უზრუნველყო **მშრომელთა კეთილდღეობის** დონის გარკვეული ამაღლება. პროგრესული სტრუქტურული ძვრები მოხდა მოხმარებაში, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ცხოვრების დონეთა დაახლოებაში.

ეს ჩანს იმით, რომ რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ათ წელიწადში გაიზარდა 61 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი — 37 პროცენტით, დახმარებანი და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან — 78 პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი — 61 პროცენტით.

განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა **სოფლის მშრომელთა** ცხოვრებაში. ათ წელიწადში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა ერთიორად და მეტად, ხოლო ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით — 1,9-ჯერ.

შესამჩნევად ამაღლდა **მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო** მომსახურების დონე. უკანასკნელი ორი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის ვაჭრობის ობიექტების ფართობი 273 ათასი კვადრატული მეტრით გაიზარდა, საზოგადოებრივი კვების ქსელი — 110 ათასი ადგილით. საექსპლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების ათობით თანამედროვე ობიექტი.

გაცილებით უკეთესი გახდა ამ დარგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გაიზარდა 1,7-ჯერ, რამაც საშუალება მოგვცა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქონელბრუნვის მიხედვით საშუალო საკავშირო დონისაგან ჩამორჩენა შეგვემცირებინა 7,6 პუნქტით. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზარდა 2,4-ჯერ; სოფლად — 3,1-ჯერ. ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპით რესპუბლიკამ გადააჭარბა საშუალო საკავშირო დონეს, ხოლო სოფლის საყოფაცხოვრებო სამსახურის განვითარების ტემპით მტკიცედ ვინარჩუნებთ პირველ ადგილს ქვეყანაში.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არა მარტო შევინარჩუნოთ ახლანდელი ტემპი, არამედ დავაჩქაროთ კიდეც რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მეთერთმეტე ხუთწლედში.

მის პირველ წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შევძელით ამ კურსის დაცვა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის გამიზნულმა მუშაობამ უზრუნველყო სამრეწველო წარმოების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის, უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების, სხვა სახალხო-სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება.

ამრიგად, მტკიცე საძირკველი ჩავუყარეთ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის პირველი ნახევრისა და მთლიანად მეორე წლის გეგმის წარმატებით შესრულებას.

როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, ეს მიღწევები რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელის თავდაუზოგავი გარჯის შედეგია. ეს ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის შედეგიც არის.

ამას მინდა დავძინო: ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ **პირველადი პარტიული ორგანიზაციები ეწევიან მიზანმიმართულ ორგანიზატორულ-პოლიტიკურ მუშაობას, აქვთ დიდი დამრაზმველი ძალა, რომელიც აკავშირებს მშრომელ მასებს, რაზმავს ადამიანებს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ეს თქვენი დამსახურებაც არის, ძვირფასო ამხანაგებო!**

ყოველივე ეს მიღწეულია იმის წყალობით, რომ სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტ, ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე არიან კომუნისტები, რომლებიც ყოველ საქმეში, ყოველ წამოწყებაში ავლენენ თავიანთ ავანგარდულ როლს.

„ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — **რომ რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში პოზიტიური პროცესები დამკვიდრებულიყო**“.

ახლა, როცა გონების თვალს ვავლებთ განვლილ გზას, გულდაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ **წინაშე დასახული ყველა ამოცანის გადაწყვეტის საფუძველი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება იყო.**

შესანიშნავად გვესმის, რომ, თუ **ბევრი რამ გაკეთდა,** თუ რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში **პოზიტიური პროცესები დამკვიდრდა, ამაში დამსახურება მიუძღვით, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს შრომითს კოლექტივებს, მათს მებრძოლ ავანგარდს — პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს!**

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ამ რესპუბლიკური კრებისათვის მზადება დიდი ხნით ადრე, სატელევიზიო გადაცემის მომენტიდან დავიწყეთ. თუ ბოლომდე ზუსტი ვიქნებით, უნდა ვთქვათ, რომ ამ კრებისათვის მზადება უკვე 10 წლის წინათ დავიწყეთ, იმ დროიდან, როცა მიღებულ იქნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

II.

მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, აქ მარტო იმისათვის როდი შევიკრიბეთ, რომ წარმოვაჩინოთ ჩვენი მუშაობის **ძლიერი მხარეები.**

როგორც ყოველთვის, მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ **ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ ამოცანებს, იმას, რაც უნდა გავაკეთოთ, რათა კიდევ უფრო განვამტკიცოთ პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, კიდევ უფრო გავაძლიეროთ თითოეული ორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის ავანგარდული როლი და ავტორიტეტი.**

ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი, სწორედ ეს არის ჩვენი კრების დანიშნულებაც.

ეკონომიკის დარგში ეს ამოცანები უწინარეს ყოვლისა იმას გულისხმობს, რომ ვადამდე შევასრულოთ მიმდინარე სამეურნეო წლის, ისევე, როგორც მთელი ხუთწლედის, დავალებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვამტკიცოთ შექმნილი გამოცდილება, კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტორგანიზაციების ავტორიტეტი

(გაგრძელება)

სწორედ პარტიული ორგანიზაცია უნდა ასრულებდეს **სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ყველა ეტაპზე — ვალდებულებათა შემუშავებიდან მათ შესრულებამდე და შედეგების შეჯამებამდე** — პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, დირექციის, სოცშეჯიბრების ინჟინრების მეცადინეობის **კოორდინატორის** როლს, რომელთა არსებობა ზოგან უკვე დაავიწყდათ. ურიგო არ იქნება, თუ გავიზიარებთ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის გამოცდილებას, სადაც შექმნილია **სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორთა მომზადების სახალხო უნივერსიტეტები.**

შეჯიბრებაში წარმატებას მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის ორგანიზაციას კომპლექსურად მოვეკიდებით. ახლა მთავარია შეჯიბრება ისე წარვმართოთ, რომ მივაღწიოთ საუკეთესო მაჩვენებლებს დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში. აქ დარბაზში სხედან მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საწარმოების, მშენებლობის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები. გთხოვთ, ამხანაგებო, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროთ ამას — სწორედ საუკეთესო საბოლოო შედეგებს უნდა მივაღწიოთ დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში. სწორედ ეს არის, თუ გნებავთ, ჩვენი **მაგისტრალური ხაზი სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში.**

ამ ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადულ ფორმებს. როგორ ინერგება ეს მეთოდი რესპუბლიკის მრეწველობაში, რა ნაკლოვანებებია ამ საქმეში, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამას წინათ აცნობა ბიუროს წევრმა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა ამხ. ტ. ვ. როსტიაშვილმა.

სავსებით ვეთანხმებით ტრიფონ ვახტანგის ძე როსტიაშვილს იმაში, რომ ვეღარ შევურიგდებით ისეთ მდგომარეობას, როგორიც შეიქმნა მთელ რიგ საწარმოებში, სადაც შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ამ ფორმის დანერგვას ფორმალურად ეკიდებიან. არადა, ეს ხომ, შეიძლება ითქვას, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. ამაზე სწორად ილაპარაკა თბილისის სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანმა ამხ. შ. ვ. კოხრეიძემ. დღეს ყველა ჩვენგანს შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად, დაკვირვებით კიდებს საქმეს ხელს, შედეგიც მალე იჩენს თავს, კომუნისტების მეცადინეობა რეალურ ნაყოფს იძლევა.

ცხადია, ვერაფრით ვერ დავჯერდებით იმას, რომ მრეწველობის საწარმოებში შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის დანერგვის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. ყველამ უნდა ნახოთ თქვენთან წარმოებაში, როგორ მიდის საქმე ამ თვალსაზრისით. არ გვეკადრება, რომ ჩვენში კომპლექსური ბრიგადების საერთო რაოდენობაში კომპლექსურთა ხვედრითი წილი 15-20 პროცენტს არ აღემატება, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით ხელფასს კი ბრიგადების მხოლოდ 10 პროცენტი ანაწილებს. არადა, სწორედ ეს პრინციპია განმსაზღვრელი ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობის პირობებში.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პირველადს პარტორგანიზაციაში შობილ ყოველ სასარგებლო წამოწყებას მხარს ვუჭერდეთ, ვიწონებდეთ დადებითს გამოცდილებას, სტიმულს ვაძლევდეთ, პროპაგანდას ვუწევდეთ, ვავრცელებდეთ, ვამკვიდრებდეთ მას.

III.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ისევე როგორც მთელი პარტიის ყველაზე დიდი საზრუნავი — ეს არის **ზრუნვა ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, მისი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.** პარტიის ლოზუნგი „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის" უნდა ხორციელდებოდეს ყოველ შრომით კოლექტივში, ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

უწინარეს ყოვლისა უფრო ეფექტიანად უნდა გადავწყვიტოთ **საბინაო მშენებლობის** ამოცანები. ეს, შეიძლება ითქვას, უმთავრესი საკითხი, უმთავრესი პრობლემაა. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენმა მშენებლებმა არცთუ მცირე წარმატებებს მიაღწიეს ამ დარგში. მეცხრე წელია ზედიზედ სრულდება ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. შარშან მეათე ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით საბინაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 34 პროცენტით გაიზარდა.

მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრია გადასაჭრელი პრობლემა, და პირველადმა პარტორგანიზაციებმა თავიანთი განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესონ, **უწინარეს ყოვლისა, საბინაო მშენებლობის ხარისხის საკითხებს.** სწორედ აქ შეუძლიათ მათ მოახდინონ ყველაზე ეფექტიანი ზემოქმედება, რადგან სწორედ აქ განსაკუთრებით ვერა გვაქვს რიგიანად საქმე.

1980 წელს, მაგალითად, „კარგი" და „ჩინებული" შეფასებით საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლების მხოლოდ 35 პროცენტი, შარშან — 22 პროცენტი, მთლიანად მეათე ხუთწლედში კი 43 პროცენტი.

საბინაო მშენებლობის ხარისხს მკვეთრად აქვეითებს ის, რომ ჯეროვანი რიტმულობა არ არის სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემაში. წლითიწლობით იზრდება მეოთხე კვარტალში, და განსაკუთრებით დეკემბერში ჩაბარებული ბინების ხვედრითი წილი. შარშან, მაგალითად, ბინების მთელი მოცულობის თითქმის ნახევარი წლის ბოლო თვეს გადაეცა საექსპლოატაციოდ. რა ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ შემთხვევაში?

ამას წინათ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე მკაცრად დაისაჯნენ სამშენებლო ორგანიზაციათა ის ხელმძღვანელები, რომლებიც ურიგდებიან წუნს საბინაო მშენებლობაში. მშენებლობის სამინისტროს № 8 და № 9 ტრესტების მმართველები ამხ. ჯ. ტ. რაზმაძე და ამხ. ს. ვ. გერგაული, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მმართველი ამხ. გ. ვ. გაბისონია განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან, პარტიული სასჯელი დაედო ლილოს № 1 სახლთსაშენებელი კომბინატის უფროსს ამხ. თ. ს. რუხაძეს. ასეთ შემთხვევაში პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავად უნდა განიხილონ ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

ამასთან დაკავშირებით საყვედურის ღირსი არიან პარტიული ორგანიზაციები და პარტბიუროების მდივნები ამხანაგები ტ. ე. გოქსაძე, ნ. დ. ხოჯავანიშვილი, ზ. გ. ფაჩულია, ი. შ. დოლიძე. ამბობენ, რომ საბინაო მშენებლობის დაბალი ხარისხის საკითხები განიხილეს პარტბიუროების სხდომებზე. რამდენადაც ასეთმა განხილვამ ვერაფერი ვერ შეცვალა, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი ფორმალურად განიხილავთ.

თქვენ ყველამ იცით რა დიდ და სავსებით კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში ის ფაქტი, რომ საცხოვრებელი სახლები საექსპლოატაციოდ ბარდება დიდი ხარვეზებით, მოსაპირკეთებელი, სანტექნიკური სამუშაოები მეტად დაბალ დონეზეა შესრულებული. მთელ ამ საკითხებს უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, შესაბამისმა საკონტროლო ორგანოებმა. ეს საქმე არ მოითხოვს სპეციალურ მატერიალურ ხარჯებს. უბრალოდ მას უნდა მოვეკიდოთ სულითა და გულით, სურვილით, რომ ამ ამოცანათა გადაწყვეტისათვის დავრაზმოთ მშენებლები, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტები.

უცილობლად უნდა მივაღწიოთ რომ ყოველი პარტიული ორგანიზაცია რა სფეროშიც უნდა მუშაობდეს, რა სფეროშიც უნდა მოქმედებდეს, **ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში, უწინარეს ყოვლისა, იჩენდეს მაქსიმალურ ზრუნვას ადამიანებისათვის, მათი ყველაზე ხასიათებო საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, კონკრეტული ყურადღების მაქსიმუმს კონკრეტული ადამიანისადმი.**

სწორედ ასეთი მიდგომაა საჭირო ცხოვრების ყველა სფეროში — ყველა სახეობის ტრანსპორტის, მეტადრე საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაციაშიც, სადაც ჯერ კიდევ არის ბევრი ნაკლი. და ბოლოს და ბოლოს სატელეფონო ქსელში ჯეროვანი წესრიგის დამყარებაშიც, სადაც საქმის ვითარება ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. მაგრამ კავშირგაბმულობის სამინისტროს პარტბიუროს მდივანს ამხ. მ. ლ. სულაბერიძეს, რომლის გამოსვლაში აღძრული იყო ზოგი საინტერესო საკითხი, ამის შესახებ, სამწუხაროდ, არაფერი უთქვამს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გადაწყვეტილება, დაამყარონ სამინისტროს აპარატის კომუნისტთა მჭიდრო ურთიერთმოქმედება საქვეუწყებო საწარმოთა პარტორგანიზაციებთან, ხელს შეუწყობს მუშაობას, უფრო ოპერატიულად გადაგვაწყვეტინებს პრაქტიკულ საკითხებს. უნდა ვაღიაროთ, რომ ერთი დარგის, ერთი სამინისტროს ფარგლებში სხვადასხვა პარტორგანიზაციის მეცადინეობის ასეთი კონცენტრაცია დიდ და ჯერჯერობით გამოუყენებელ რეზერვებს შეიცავს.

გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია, სადაც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყოველნაირად უნდა გააძლიერონ ბრძოლა მედპერსონალის ნაწილის უპასუხისმგებლობის, არაკომპეტენტურობის გამოვლინებების, გამოძალვის ჯერ კიდევ არსებული ფაქტების წინააღმდეგ. სოფლად ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის პრობლემებზე, ამ საქმეში პირველადი პარტორგანიზაციების როლზე კარგად ილაპარაკა თავის გამოსვლაში ცხინვალის რაიონული საავადმყოფოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ზ. ა. ეფენდიევამ. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მას იმაში, რომ ჯანმრთელობის დაცვის კომუნისტთა დიდი არმია ჯერ კიდევ სუსტად ახორციელებს თავის ავანგარდულ როლს საქმიანობის ამ სფეროში.

ამას უნდა ესწრაფვოდნენ სოცუზრუნველყოფის ორგანოების პარტორგანიზაციებიც, რომლებიც უფრო გულისხმიერად, უფრო ყურადღებით უნდა მოეკიდონ იმათ, ვინც დამსახურებულ პენსიაზეა.

ძალზე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. კომუნისტის რა ავანგარდულ როლზე შეიძლება აქ ლაპარაკი, თუ ისინი ხშირად თვითონ სჩადიან უღირსულ საქციელს, ადგებიან დანაშაულის გზას?

მოდით ჩავუფიქრდეთ, ამხანაგებო: როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ პარტიაში აღმოჩნდნენ მექრთამეები, ხაზინის ქურდები, სახალხო დოვლათის დამტაცებლები? და განა შეიძლებოდა ამას გავლენა არ მოეხდინა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტზე, თუ გნებავთ, მთელი პარტიის ავტორიტეტზე?

როგორც ცნობილია, სახელის გატეხა უფრო ადვილია, ვიდრე მისი აღდგენა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აღვადგინოთ ის მორალური ზიანი, რომელიც პარტიას მიაყენა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ზოგიერთმა პარტბილეთიანმა მუშაკმა, აღვადგინოთ თვით ამ პროფესიის პრესტიჟულობა, აღვადგინოთ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის კარგი სახელი. სასურველია, თუ ამას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები.

ზრუნავდე ადამიანისათვის — ნიშნავს დღენიადაგ ზრუნავდე **დისციპლინის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.** ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობაა გაწეული, და ამან ბევრად განსაზღვრა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, **მასების მოქალაქეობრივი შეგნებისა და სოციალური აქტიურობის ამაღლება.**

ყველა დონეზე და ყველა მისი გამოვლინებით დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის, მაღალი პარტიული მომთხოვნელობის ვითარების ყველგან დამკვიდრებისათვის ბრძოლას ვეწევით თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად. დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, შრომით კოლექტივებში, პირველადს პარტორგანიზაციებში წარმოშობილი ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრისათვის ეს მოძრაობა დროთა განმავლობაში მასობრივი გახდა, მას სისტემურობა მიენიჭა. ამ პროცესების მართვა შესაძლებელი გახდა დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფების, კომისიების დახმარებით, რომლებიც შეიქმნა პარტიულ კომიტეტებთან, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, დიდი საწარმოების პარტორგანიზაციებში.

ჩვენ ძალზე ნიშანდობლივად მიგვაჩნია პირველადს პარტორგანიზაციებსა და შრომით კოლექტივებში მოწყობილი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომლებიც მოწმობს, რომ გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა (93 პროცენტი) ერთი აზრისაა. ამ აზრის არსი ის გახლავთ, რომ რესპუბლიკის, მისი ცალკეული რეგიონებისა და ცალკეული შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ ცხოვრებაში მომხდარი დადებითი ძვრები **იმ თანამიმდევრული და ეფექტიანი ბრძოლის შედეგია, რომელსაც რაიონული რგოლის პარტიული კომიტეტები, ხელმძღვანელი პარტიული კადრები** ეწევიან ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცე დაცვისათვის, მომთხოვნელობისა და დაკისრებული საქმისათვის თითოეულის პასუხისმგებლობის ამაღლების შედეგია. ეს აზრი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი გამოთქვეს იმათ, ვისაც მუდმივი და უშუალო ურთიერთობა აქვს პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელებთან, ვინც კარგად იცის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ეს რამდენიმე ხანია რესპუბლიკური მასშტაბით შემოღებულია სტატისტიკური ანგარიშგება დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. ახლა, თელავის რაიონის გამოცდილების საფუძველზე, მუშავდება სისტემა, რომლის თანახმადაც პარტიული კომიტეტები ოპერატიულად, ყოველკვირეულად გაეცნობიან საქმის ვითარებას სახალხო მეურნეობის ყოველ ობიექტზე. ეს სისტემა პარტიულ კომიტეტებს დაეხმარება შეიმუშაონ და მიიღონ დროული გამაფრთხილებელი-პროფილაქტიკური ღონისძიებანი შესაძლო დარღვევებისა და ბოროტმოქმედების აღსაკვეთად.

ყოველივე ამის შედეგად სოციალისტური მართლწესრიგი სულ უფრო და უფრო მტკიცდება. მცირდება პირადი ქონების ქურდობის, ბინის ქურდობის რიცხვი, გაუმჯობესდა ქურდობისა და ავტომანქანების გატაცების საქმის გახსნა, შემცირდა ყველაზე სამიშ სახეობათა სისხლის სამართლის დანაშაულობათა რაოდენობა.

მაგრამ მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა, როგორც ეს არაერთხელ გვითქვამს, მარტო ადმინისტრაციული ორგანოების საქმე როდია. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ ბრძოლაში სულ უფრო იზრდებოდეს შრომითი კოლექტივების როლი, პირველადი პარტორგანიზაციების, ყველა კომუნისტის, ყველა კომკავშირელის როლი.

სწორედ იმის შედეგად, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩამოშორდა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ ახმეტის, გუდაუთის, საგარეჯოს, თიანეთის, ჩოხატაურის რაიონებში, ქალაქ წყალტუბოში.

როგორ შეუძლიათ ისეთი დიდი, წამყვანი კოლექტივების პარტიულ ორგანიზაციებს, როგორიცაა თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა და რუსთავის მეტალურგიული ქარხანაა, თვალს არიდებდნენ იმას, რომ სამართალდარღვევათა რიცხვი აქ არ მცირდება, რომ ამ საწარმოთა მუშები სჩადიან მკვლელობას, ხულიგნობენ, მონაწილეობენ ავტომანქანების გატაცებაში, ამხანაგები კი განგაშს არ ტეხენ.

როგორც ჩანს, საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ პარტიული კომიტეტები, პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად, ყოველკვირეულად, ხოლო თუ საჭიროა, ყოველდღიურადაც კი განიხილავდნენ მართლწესრიგის დაცვის მდგომარეობას, ხელმძღვანელობის კონკრეტულ ღონისძიებებს უმართავდნენ დამრღვევთა წინააღმდეგ.

უფრო აქტიური მოქმედებისათვის მოვუწოდებთ ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს, მართლწესრიგის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოებს, პროფილაქტიკის საბჭოებს. უფრო ხშირად უნდა გავუგზავნოთ სახალხო რაზმელები შინაგან საქმეთა ორგანოებს.

ერთი სიტყვით, მართლწესრიგის უზრუნველყოფაში შრომითი კოლექტივების, პარტორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის ფორმები მრავალგვარია. და თუ მათ ძიებას შემოქმედებითად, დაინტერესებით მოვეკიდებით, როგორც ამას აკეთებენ, მაგალითად, თბილისის საავიაციო და ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხნებში, საწარმოო გაერთიანება „ელვასა" და ბევრ სხვა საწარმოში, ჩვენში გაიზრდება ისეთი კოლექტივების რიცხვი, სადაც წლის მანძილზე არც ერთი მნიშვნელოვანი სამართალდარღვევა არ ხდება.

ამას წინათ ჩვენში ამოქმედდა დანაშაულისა და სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირებისადმი კონტროლის ახალი ფორმა, რომელსაც, უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ახორციელებენ საკურატორო დარგებში. მინდა ამხანაგებმა იცოდნენ, თუ რა დონეზე აგვყავს ბრძოლა სამართალდარღვევების წინააღმდეგ. ყოველდღიურად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სადღეღამისო ცნობის მონაცემების საფუძველზე, შესაბამის საწარმოთა და ორგანიზაციათა პარტიულ ორგანიზაციებს, სამართალდარღვევის თითქმის ყოველი ფაქტის გამო ეგზავნებათ წერილები ცენტრალური კომიტეტის მდივნების კონკრეტული დავალებებით. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყოველი სამართალდარღვევა ხდებოდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების სპეციალური მსჯელობის საგანი, რომ ყოველი მათგანის გამო ხორციელდებოდეს კონკრეტული ღონისძიებანი.

დამნაშავეობის დონის შემცირებისათვის მუშაობის მეორე დიდმნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც ახლა ხმარდება ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმთავრესი მეცადინეობა, — ეს არის ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ. ეს ჩვენთვის სერიოზული პრობლემაა, რადგან ადამიანები, რომლებიც ჩაბმული არ არიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, აქტიურ მასაზრდოებელ გარემოს უქმნიან დანაშაულის ჩადენას, რომ აღარაფერი ვთქვათ მის სხვა ასპექტებზე. ამას წინათ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოიწონა მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფორმა. აქ მთავარი როლი განეკუთვნებათ იმ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც იგზავნებიან წარმოებაში დამკვიდრებისათვის პირები, რომლებიც თავს არიდებენ შრომას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ხშირია მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტები, არსებითად კი პარაზიტი, დამნაშავე ელემენტების შემწყნარებლობის შემთხვევები. მხოლოდ ასე შეიძლება შევაფასოთ „საქკოლმეურნეობის" ტრესტის ქუთაისის მოძრავი მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელთა პოზიცია, რომლებმაც შრომითი საქმიანობის შესახებ ფიქციური ცნობები მისცეს ორ გამოუსწორებელ დამნაშავე-რეციდივისტს, რომლებსაც ამ ორგანიზაციაში არც ერთ დღეს არ უმუშავიათ. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამ ფაქტიდან ყველაზე სერიოზული დასკვნები გამოიტანა. მაგრამ კომუნისტებმა ხომ იცოდნენ, რა ხდებოდა მათ ორგანიზაციაში. მაშ რატომღა დაუშვეს ეს?

კიდევ ერთი რამ. თითოეული ადამიანის, თითოეული პიროვნების ზნეობრივი სიწმინდისათვის ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ასრულებს იმ კოლექტივის პოზიცია, სადაც იგი ცხოვრობს და შრომობს, პირველადი პარტორგანიზაციის პოზიცია. და თუ ეს პოზიცია აქტიურია, თუ იგი არ ურიგდება არავითარ კომპრომისს, სოციალისტური მორალის ნორმებიდან არავითარ გადახვევას, ასეთ კოლექტივში არ იქნებიან მექრთამეები, დამტაცებლები, საქმოსნები, მაქინატორები და სოციალისტური ცხოვრების წესის სხვა ანტიპოდები.

პირდაპირ ვთქვათ: ამბროლაურის რაიონის ბევრი შრომითი კოლექტივის პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან სიმაღლეზე რომ ყოფილიყვნენ, პრინციპული, შეურიგებელი პოზიცია რომ დაეკავებინათ და დროულად წინააღდგომოდნენ ერთ მუჭა საქმოსნებს, სამარცხვინო „ღვინების საქმე" არ მოხდებოდა. მექრთამე მინისტრიც არ გვეყოლებოდა, ფინანსთა სამინისტროს პარტიული ორგანიზაცია ურყევი პარტიული პრინციპების ერთგული რომ ყოფილიყო, აქ, ცხადია, ჩვენმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამაც გამოიჩინა გარკვეული დაუდევრობა.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ისე ხდება ხოლმე, რომ პარტიული ორგანიზაცია გულგრილი რჩება ყველა ამ საკითხისადმი მანამდე, სანამ შრომითს კოლექტივში არ მოხდება საგანგებო შემთხვევა: დატაცება, ქრთამის აღება, მკვლელობა... მარტო მაშინ დაიწყება ხოლმე მსჯელობა: როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, რომ ადამიანი, კომუნისტი მორალურად ასე დაცემულიყო? მაგრამ რად უნდა მიგვეყვანა საქმე აქამდე? განა უფრო სწორი არ იქნებოდა დროულად გამოძახებინათ კომუნისტი ბიუროზე, უბრალოდ, სასაუბროდ პარტიულ კომიტეტში. განეხილათ მისი საქციელი პარტიულ კრებაზე, გაეფრთხილებინათ არასწორი მოქმედების გამო — მეგობრულად და ამავე დროს პრინციპულად. იქნებ კაცს ფეხი არ დასცდენოდა, არ წასულიყო მოლიპული ბილიკით, არ დამდგარიყო დანაშაულის გზას.

ცნობილია, რომ დატაცების, მექრთამეობის, თვალის ახვევის, წამატებების, უყაირათობისა და სხვა ფაქტებს, ჩვეულებრივ, ზემდგომი ორგანოების შემოწმებები ავლენს. არადა, თვით ეს დარღვევები პირველადი პარტორგანიზაციების თვალწინ, კომუნისტების თვალწინ ხდება. ამას ყველა ხედავს, ყველამ იცის ეს ამბავი. და ყველა სდუმს. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ყველა ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაცია არ იჩენს საჭირო მებრძოლურ თვისებებს. იმიტომ, რომ ზოგიერთებმა დაკარგეს კლასობრივი მიდგომა ცალკეულ მოვლენათა შეფასებისადმი, ზოგიერთები აღარ აძლევენ ყოველ ფაქტს ჯეროვან პოლიტიკურ შეფასებას.

მაგრამ მხოლოდ კლასობრივი, პრინციპული, პარტიული მიდგომის პირობებში შევძლებთ ცალკეული ფაქტების მიღმა დავინახოთ მოვლენა, ცალკეული სამხახისი საქციელის მიღმა — სიღრმისეული პროცესები, რომლებსაც თავიანთი ნიადაგი და მასაზრდოებელი გარემო აქვთ. ამ ნიადაგს ასაზრდოებს ჩვენი ხარვეზები ნეგატიურ, ანტიპოდურ, ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა მატარებლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი ხარვეზები ადამიანის შინაგანი სამყაროს შესწავლასა და ფორმირებაში, პიროვნებად მის ჩამოყალიბებაში.

არადა, ვინ უნდა ეწეოდეს მთელ ამ მუშაობას, თუ არა პარტიული ორგანიზაციები?

აი ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ საჭიროა ისეთი სისტემური მუშაობის უზრუნველყოფა, რომელიც მიზნად ისახავს ყოველგვარი სამართალდარღვევის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების თავიდან აცილებას, პროფილაქტიკას, პირველ პლანზე ვაყენებთ **პირველადი პარტიული ორგანიზაციის მეთაურობით** ყოველი შრომითი კოლექტივის, ყოველი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის როლს. სწორედ პირველადი პარტორგანიზაციის საქმეა სათავეში ჩაუდგეს ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობას, ყოველდღიურად წარმართოს იგი კონკრეტული კალაპოტით, ამასთან ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ **შრომითი კოლექტივის ზნეობრივი ატმოსფერო მისი წარმატებული ფუნქციონირების საფუძველია.**

ამხანაგებო!

რამდენადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მაქსიმალურად უნდა ვზრუნავდეთ ადამიანებისათვის, კონკრეტული პიროვნებისათვის, მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს.

თავის მოხსენებაში ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილმა უკვე ილაპარაკა ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწევებზე, ამოცანებზე, რომლებიც **სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბებაში.** ეს საკითხები აღძრა კამათის ბევრმა მონაწილემაც.

ახლა მინდა შევეხო სხვა რამეს — **ჩვენი სოფლის სოციალური განვითარების პრობლემებს,** ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა დაძლევას.

რასაკვირველია, სოფლად უკანასკნელ წლებში დიდი ცვლილებები მოხდა. ამის შესახებ სწორად ილაპარაკა დღეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა ამხ. ო. შ. ცაავამ, რომელმაც კმაყოფილებით განაცხადა, რომ ეს სოფელი ყველა თვალსაზრისით გაუტოლდა ქალაქს, რომ ახლა მათ აღარც დენადობის პრობლემა აწუხებთ, პირიქით, ადამიანებს სურთ კოლმეურნეობაში დარჩნენ სამუშაოდ. სასიამოვნო იყო ასეთი სიტყვების მოსმენა. ისინი ასახავენ სოფლის ცხოვრების სინამდვილეს. მართლაც, სულ უფრო იშლება განსხვავება კოლმეურნისა და მუშის შრომას შორის. სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა. როგორც პარტიის ყრილობაზე აღინიშნა, სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე დიდ გავლენას ახდენს სამეურნეობათშორისო ორგანიზაციების განვითარება, რომლებშიც მონაწილეობენ კოლმეურნეობებიც და სახელმწიფო ორგანიზაციებიც. აქ გავლენას ახდენს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფორმათა ცვლილებაც, მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გავრცელებაც. დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად სამრეწველო საწარმოთა ფილიალების შექმნას.

ეს ყველაფერი ასეა. და მაინც, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების წაშლის პროცესი უაღრესად ნელა მიმდინარეობს. **და სწორედ აქ შეუძლიათ ბევრი რამის გაკეთება სოფლის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.** ჩვენში კი მათი რიცხვი ხომ 7200-ს აღემატება. ეს დიდი ძალაა!

მთელ ამ მუშაობაში უნდა ვეყრდნობოდეთ სოფლის ინტელიგენციას. ისიც მრავალრიცხოვანი რაზმია. ამას წინათ პარტიის ახმეტის რაიკომის პლენუმზე განიხილეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში სოფლის ინტელიგენციის უფრო აქტიური ჩაბმის საკითხი. კარგი, დიდმნიშვნელოვანი საკითხია. იგი შეისწავლეს წინასწარ მოწყობილი სოციალური გამოკვლევის საფუძველზე. შემოწმებამ ცხადყო, რომ სოფლის ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი განზე უდგას თავისი რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, თუმცა ბევრი მზადაა აქტიურად ჩაებას მასში. დღეს ეს საკითხები აღძრა თავის გამოსვლაში ამ რაიონის ქისტაურის ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ნ. გ. იოსებაშვილმა. მან სავსებით სამართლიანად თქვა, რომ ყველა დასახული ამოცანის გადაწყვეტაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც ერთიანი კალაპოტით უნდა წარმართონ ტერიტორიული, საკოლმეურნეო, სოფლის სხვა პარტორგანიზაციების მეცადინეობა, კოორდინაცია გაუწიონ მათ საქმიანობას.

ვფიქრობთ, კარგი იქნება მოეწყოს **სოფლის ინტელიგენციის რესპუბლიკური შეკრება,** რომელზეც განვიხილავთ ყველა საჭირბოროტო საკითხს. აქ ბევრი რამ არის ისეთი, რასაც უნდა მოვახმაროთ სოფლის კომუნისტების, პირველადი პარტორგანიზაციების ძალა და ენერგია.

მეტად უნდა ვიზრუნოთ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისათვის, გადავაქციოთ ისინი ნამდვილ კულტურის კერებად. ჩვენ გვაქვს კულტურის სასახლეების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სპორტული ბაზების ფართო ქსელი. მაგრამ ძალზე ცუდად ვიყენებთ. მიუხედავად ამისა, დღეს აქ გამოსული არც ერთი ამხანაგი არ შეხებია ამ საკითხს, ეს იმას ხომ არ მოწმობს, რომ დავივიწყეთ ისინი?

არადა, ამ დაწესებულებებში სიცოცხლე კარგა ხანია უკვე არ ჩქეფს. ცოდნის პროპაგანდის ცენტრებად ვერ იქცა ჩვენი ბიბლიოთეკები. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული ბაზების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბევრის გაკეთება შეუძლიათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენთან რესპუბლიკაში სოფლებიც არ არის ერთგვაროვანი. ისინი განსხვავდებიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, ისტორიული, გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით.

ცხადია, ისეთ სოფლებს, როგორიცაა მახარაძის რაიონის ნატანები, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყი, ზუგდიდის რაიონის რუხი, გუდაუთის რაიონის დურიფში ან ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბანი და მრავალი სხვა, სადაც არის კულტურის სასახლეები, სამუსიკო სკოლები, შესანიშნავი ბიბლიოთეკები, კარგად აღჭურვილი სამკურნალო დაწესებულებები, სადაც კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სახლებში შექმნილია თანამედროვე კომფორტი, — ასეთ დასახლებულ პუნქტებს ვერ გაუტოლდება ბევრი მაღალი მთის სოფელი, სადაც ჯერ კიდევ მრავალი რამ არის გასაკეთებელი, რათა კეთილმოვაწყოთ ისინი, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

არის სოფლები, სადაც რადიოც კი არა აქვთ, იშვიათად ჩააქვთ მოძრავი კინოდანადგარი, სადაც დიდი ხანია ელიან კარგ ლექტორს, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მოსახლეობა აქ მოკლებულია ელემენტარულ კომუნალურ პირობებს, გასაუმჯობესებელია სამედიცინო და კულტურული მომსახურება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ონის რაიონის ერთ-ერთ საუბნო საავადმყოფოში არც ერთი ექიმი არა ჰყავთ. ვის გაუგონია საავადმყოფო უექიმოდ? 78 სოფლის ამბულატორიაში თავისუფალია საშტატო საექიმო თანამდებობანი. სამედიცინო კადრებით სრულად არ არის დაკომპლექტებული ამბროლაურის, ჩხოროწყუს, ასპინძის, ხობის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ორჯონიკიძის რაიონების სამკურნალო დაწესებულებანი, საშუალოდ 10-20 ვაკანტური საექიმო ადგილია ქარელის, ბოლნისის, ხაშურისა და სხვა რაიონებში. ეს საკითხები მთელი სიმწვავით და პრინციპულობით უნდა განიხილონ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში.

სოფლის სამედიცინო დაწესებულებათა უმრავლესობა ცუდ სანიტარიულ-ტექნიკურ მდგომარეობაშია. სწორედ ამ მიზეზით სოფლის იმ მცხოვრებთა ხვედრითი წილი, რომლებიც სამკურნალოდ ქალაქის სტაციონარებში მიდიან, 43 პროცენტს აღემატება.

განა სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის პირველადმა ორგანიზაციებმა არ უნდა მოჰკიდონ ხელი ყველა ამ საკითხს? სწორედ თქვენ, პარტიული ორგანიზაციების მდივნები უნდა ეძებდეთ გულმოდგინედ ჩვენი სოფლების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზებს.

უშუალოდ უნდა მოვკიდოთ ხელი იმ პრობლემების მეცნიერულად დასაბუთებულ გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია დაბლობი ზონის ეკონომიკურად ძლიერი მეურნეობებისა და მთის რაიონების მცირე სიმძლავრის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოოპერირებასთან, და შემდეგ გეგმაზომიერად გავანაწილოთ მოგება მათი მონაწილეობის წილის შესაბამისად, ოპტიმალურად განვალაგოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, განვავითაროთ აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურად ხელსაყრელი დარგი.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამედროვე სოფლის არქიტექტურულ სახეს. სასურველია, რომ პარტიული ორგანიზაციები გვერდს არ უვლიდნენ ამ საკითხებს.

ცხადია, ადამიანი უნდა ცხოვრობდეს კეთილმოწყობილ სახლში, სადაც იქნება თანამედროვე კომფორტი, მაგრამ სოფლის არქიტექტურა უნდა განსხვავდებოდეს ქალაქის არქიტექტურისაგან. კარგი იქნება, რომ სოფლად საცხოვრებელი სახლების გარეგნული იერი შეესაბამებოდეს რესპუბლიკის ამა თუ იმ რეგიონისათვის ტრადიციულ არქიტექტურულ ფორმებს, ხოლო კომფორტით ტოლს არ უდებდეს ქალაქის ბინებს და რა თქმა უნდა, ითვალისწინებდეს სოფლის ცხოვრების სპეციფიკას.

სამშობლოს სიყვარული მშობლიური სოფლის, მშობლიური ქალაქის სიყვარულით იწყება. სოფლის მცხოვრებისათვის ყველაფერი ძვირფასი უნდა იყოს იქ, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

შინმოუსვლელთა ხსოვნის თაყვანს სცემენ ყველა სოფელში. ისეთი მემორიალები, როგორიცაა მარნეულში, გურჯაანში, ფოთში, მახარაძესა და ბევრ სხვა ადგილას, მონუმენტური ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოებებია. ზოგი უფრო სადად გამოიყურება, მაგრამ ყველა ეს ძეგლი ესთეტიკურის გარდა დიდ აღმზრდელობით ფუნქციას ასრულებს, — ხელს უწყობს ადამიანებისათვის საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის, თავისი რესპუბლიკისათვის, თავისი რაიონისათვის, თავისი სოფლისათვის სიამაყის, იმ მშვენიერი გრძნობის ჩანერგვას, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევმა სამშობლოს გრძნობა უწოდა. ეს გრძნობა სოფლის შრომელთა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაუნერგონ.

ჩვენ რომ მოგვეხდომებინა ყველაზე ცნობილი სოფლების გამოყოფა, რომელთა სახელები [illegible] ქართველი ერის გმირულ წარსულს, მის თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, [illegible] ... **ჩვენში ხომ ყოველი სოფელი დაკავშირებულია ისტორიასთან, ყოველი [illegible] ... უველ სოფელში არიან რევოლუციის გმირები!**

და, ალბათ, ყველა, ვინც ასეთ სოფლებში ცხოვრობს, [illegible] ...

[illegible] ... ისტორია, რისი მოთავეც მაქსიმ გორკი იყო.

IV.

განვლილი წლები საქართველოსთვის არა მარტო ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების და ზრდის წლები, არამედ **ხელოვნების, მეცნიერების, ნამდვილი აღორძინების წლებიც** იყო.

[illegible]

(გაგრძელება [illegible] გვ.)

განვამტკიცოთ შეძენილი გამოცდილება, კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტორგანიზაციების ავტორიტეტი

(გაგრძელება)

დეს რესპუბლიკის მთელი პარტორგანიზაცია. დღევანდელი პიონერი ხომ მომავალი კომკავშირელი, შემდეგ კი კომუნისტია!

დიდ მიღწევად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ მეათე ხუთწლედში პროფტექნიკური განათლების სისტემის ყველა სასწავლებელი გადავიდა სრულ საშუალო განათლებაზე, რამაც მკვეთრად გაზარდა მათი ავტორიტეტი და ძირფესვიანად შეცვალა ფართო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება ამ სისტემისადმი.

მაგრამ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ კურსდამთავრებულებს უფრო უკეთ დამკვიდრებდნენ წარმოებაში, უფრო აქტიურად ნერგავდნენ ლენინგრადელთა და სვერდლოვსკელთა გამოცდილებას პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა პერსონალური განაწილების საქმეში.

პრაქტიკულად უნდა წყდებოდეს პროფტექნიკურ სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მერვე კლასების კურსდამთავრებულთა გაგზავნის პრობლემა. ამ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა საერთო რიცხვის მხოლოდ 17 პროცენტი მიდის, საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში კი ეს მაჩვენებელი 35-40 პროცენტს შეადგენს. ნელა მიმდინარეობს უმაღლესი განათლების მქონე საწარმოო სწავლების ოსტატებით სასწავლებლების დაკომპლექტება.

„მხატვრული შემოქმედების საგრძნობი აღმაფრენით აღინიშნა უკანასკნელი წლები“, — თქვა ლეონიდ ილიას ძემ თბილისში გამართულ ზეიმზე და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა.

დღეს დაწვრილებით აღარ ვილაპარაკებთ ამ წარმატებებზე, რომლებიც თქვენთვის კარგად არის ცნობილი. მხოლოდ ვიტყვი, რომ ბოლო წლებში ლენინური პრემიის ლაურეატები გახდნენ მწერალი ნოდარ დუმბაძე, მხატვარი ზურაბ წერეთელი, ამ დღეებში კი კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, რომ სოციალისტური შრომის გმირები გახდნენ მწერლები ირაკლი აბაშიძე და გრიგოლ აბაშიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე და სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი, რომ სსრ კავშირის სახალხო არტისტის მაღალი წოდება მიენიჭათ თეატრისა და კინოს ცნობილ ოსტატებს დიმიტრი ალექსიძეს, მიხეილ თუმანიშვილს, მედეა ამირანაშვილს, ლამარა ჭყონიას, ცისანა ტატიშვილს, რეზო ჩხეიძეს, თენგიზ აბულაძეს, შარახ ფაჩალიას, მიხეილ ჩუბინიძეს, გიორგი ლორთქიფანიძეს, რამაზ ჩხიკვაძეს, ოთარ მეღვინეთუხუცესს, რომ ქართული მხატვრული ინტელიგენციის ბევრ საუკეთესო წარმომადგენელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები და შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემია.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ქართული კულტურის აღმავლობაში თავის როლს ასრულებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმმართველი საქმიანობა, რომელმაც, როგორც ლეონიდ ილიას ძემ თქვა, **კულტურის ოსტატებთან მუშაობაში სწორ ტონს მიაგნო, ეხმარება მათ, აქტიურად უწყობს ხელს შემოქმედებით ძიებას.**

ამასთან მშვენივრად გვესმის, რომ აქ დამსახურება მიუძღვით უწინარეს ყოვლისა, ჩვენი შემოქმედებითი კავშირების კომუნისტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, მათს ხელმძღვანელებს, რომლებიც მარჯვედ წარმართავენ შემოქმედებითი ინტელიგენციის შთაგონებულ შრომას, აქტიურად აბამენ მათ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ჩვენს შემოქმედებითს ინტელიგენციას ეკავოს არა მარტო აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, არამედ აქტიური პარტიული პოზიციაც, ქმნიდეს მაღალი მოქალაქეობრიობით, მაღალი იდეურობით, კომუნისტური აღმშენებლობის პათოსით განმსჭვალულ მაღალი მხატვრული დონის ნაწარმოებებს.

დღეს გვაგონდება, რომ გალაკტიონ ტაბიძემ — ჩვენმა დიდმა პოეტმა — სახალხო პოეტმა არა მარტო წოდებით, არამედ ხალხის აღიარებითაც — მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა უმღერა ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, ლექსის სტრიქონებში აღბეჭდა პროლეტარული რევოლუციის გენიალური ბელადის სახე.

რევოლუციის ნამდვილ ჰიმნად იქცა გალაკტიონის ლექსი „დროშები!“:

დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

და ეს გაისმოდა მოწოდებად, დავმდგარიყავით რევოლუციის დროშებქვეშ, ერთგულად გვემსახურა კომუნიზმის საქმისათვის!

გავიხსენოთ: სწორედ ამისათვის მოგვიწოდებდნენ ჩვენი კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი. თითქოს გუშინ, თითქოს დღეს ეთქვას პოეტ-კომუნისტს გიორგი ლეონიძეს ეს სიტყვები: „საბჭოთა მწერალი კომუნიზმის იდეების პროპაგანდისტია. თითოეულმა ჩვენთაგანმა თავის თავს უნდა დაუსვას შეკითხვა — თავისი კალმით, თავისი წიგნებით როგორ უწყობს ხელს კომუნიზმის მშენებლობას?“

კომუნისტმა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა კი თქვა: „ვისაც არა აქვს შეგნებული და შეთვისებული კომუნისტური საზოგადოების შემქმნელი ხალხის მორალი, მისი ეთიკური ნორმები, ხალხისა და სამშობლოს ინტერესები, მას მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოების შექმნა არ შეუძლია“.

როგორც ნამდვილი მოქალაქე, დიდბუნებოვანი ადამიანი, უნდა გავიხსენოთ შესანიშნავი პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომლის თავანკარა პოეზიისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ ითქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

პარტიულობის, მაღალი იდეურობისა და ნამდვილი ინტერნაციონალიზმის ღრმა გრძნობა ახასიათებდა ბესო ჟღენტს, უპარტიო და ამავე დროს ღრმად პარტიულ ადამიანს, რომელიც ბოლომდე ჩვენი პარტიის იდეალების ერთგული იყო. იგი წერდა: „ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგან სოციალისტურ რევოლუციაში მუშათა კლასის ბელადი და ორგანიზატორი, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ბელადი და ორგანიზატორი იყო ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით შეიარაღებული“.

გავიხსენოთ, რა თქვა აგრეთვე კოტე მარჯანიშვილმა, რომელიც გარდა იმისა, რომ თეატრის დიდი რეფორმატორი, თეატრალური ხელოვნების რევოლუციონერი იყო, მთელი თავისი შემოქმედებით, მთელი თავისი ხელოვნებით ემსახურებოდა ჩვენს დიდ რევოლუციას.

რევოლუციურ პეტროგრადში ყოფნისას იგი მგზნებარედ, სულითა და გულით მიესალმა ახალი, მისივე სიტყვებს თუ ვიხმართ, **„კომუნისტური, საბჭოთა რუსეთის“** დაბადებას. მან მაშინვე მთლიანად და ბოლომდე მიიღო რევოლუცია და, მაიაკოვსკისა არ იყოს, მართლაც შეეძლო ეთქვა: **„ჩემი რევოლუცია!“**

იმიტომ გავიხსენე ყველა ეს გამონათქვამი, — არადა, ასეთები ბევრზე ბევრია, — რომ უკანასკნელ ხანს სულ უფრო იშვიათად გვაგონდება ისინი. ჩვენი კლასიკოსების ეს მაღალიდეური გამოსვლები პარტიულ თემაზე რატომღაც ყოველთვის ვერ პოულობს ადგილს კრებულებში. ისინი იშვიათად გვხვდება თხზულებათა გამოცემებში. ასე არ ივარგებს. ვფიქრობთ, ზოგი ცდილობს მიჩქმალოს, რომ ჩვენი კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთ ეკუთვნით ასეთი შესანიშნავი სიტყვები პარტიის, კომუნიზმის, კაცობრიობის ყველაზე მაღალი იდეალების შესახებ. ამის მიჩქმალვა კი არ შეიძლება!

ასევე პარტიულ, ასევე პარტიულად მგზნებარე, ღრმად იდეურ, დამრაზმველ, მე ვიტყოდი, ნაბათისებრ მოწოდებად გაისმის ახლა ჩვენს პარტიულ ყრილობებზე, კონფერენციებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე, ტელევიზიითა და რადიოთი, ჩვენს პრესაში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მწვავე, აქტუალური გამოსვლები ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლებისა, ისეთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებისა, როგორებიც არიან ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, კარლო კალაძე, ერა ჯაფარიძე, ბაგრატ შინკუბა, რეზო ჩხეიძე, გიორგი ნატროშვილი, რევაზ ჯაფარიძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, ხუტა ბერულავა, რევაზ მარგიანი, გიორგი ციციშვილი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, არჩილ სულაკაური, ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ფრიდონ ხალვაში, ნაფი ჯუსოითი, ელდარ შენგელაია, რობერტ სტურუა, თენგიზ აბულაძე, ლანა ღოღობერიძე, გია ყანჩელი, გივი ორჯონიკიძე, თემურ ჩხეიძე და ბევრი, ბევრი სხვა. ბედნიერი ვართ, რომ ისინი ისე ბევრნი არიან, ერთბაშად ვერც კი ჩამოთვლი ყველას.

აქვე მინდა ვთქვა უფროსი თაობის მწერალზე კონსტანტინე ლორთქიფანიძეზე, რომელიც არ ირიცხება პარტიის რიგებში, მაგრამ მთელი თავისი დაუცხრომელი შემოქმედებით ემსახურება პარტიის საქმეს, ძალღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ ხატოვნად და სრულად წარმოაჩინოს მხატვრული სიტყვით დღეს ქართულ სოფელში მიმდინარე სიღრმისეული პროცესები.

ყველა ჩვენგანს დღემდე ახსოვს სიტყვა კომუნისტის შესახებ, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქვა ნოდარ დუმბაძემ. მან თქვა, რომ კომუნისტი ჯერ სახელად, მერე კაცად, მერე სახელმწიფოდ და ბოლოს რწმენად, უდიდეს რწმენად იქცა, და რომ სხვაგვარად აუხსნელი დარჩებოდა საიდუმლო იმისა, თუ სამოცი წლის მანძილზე როგორ იქცა სიტყვა კომუნისტი გმირობის, თავგანწირვის, მეგობრობის, სამართლიანობის, სისადავის, პირდაპირობის, შეუპოვრობის, პატიოსნებისა და ზნეობრივი სისპეტაკის სინონიმად.

ჩინებულად, კარგად არის ნათქვამი!

დაგვამახსოვრდა შოთა ნიშნიანიძის სიტყვებიც, რომელმაც პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში თქვა:

— კომუნისტები განსაკუთრებული რწმენის, განსაკუთრებული სიწმინდის, ნებისყოფისა და შეძლების ადამიანები არიან. ჩემთვის კომუნისტური პარტია მხოლოდ გმირების პარტიაა. იყო კომუნისტი — ნიშნავს იყო ხალხის მსახური. კომუნისტობის უფლება მოპოვებული უნდა იქნეს სპეტაკი ცხოვრებით, ხალხისადმი უანგარო სამსახურით, შრომითი გარჯილობით და სხვა მრავალი ამაღლებული თვისებით. ამიტომ ჩემი რწმენით, ჭეშმარიტი კომუნისტი რაღაცით წილნაყარი უნდა იყოს გმირობასთან.

თქვენი სიტყვები, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი გრძნობები, თქვენი ფიქრები ღრმად ჩასწვდა ადამიანთა გულს, და დარწმუნებული ვართ მადლიან ნიადაგში მოხვდა. ჩვენ ვიცით: ისინი შესანიშნავ ნაყოფს გამოიღებენ!

შემოქმედებითი კავშირების პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა კომუნისტი, პარტორგანიზაციის თითოეული წევრი უნდა აღზარდონ იდეური სიმტკიცის, კომუნისტური იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, მიაღწიონ იმას, რომ ისინი ერთსულოვანნი იყვნენ თავიანთ ზრახვებსა და მოქმედებაში, რომ ისეთივე მიზანმიმსწრაფი და ისეთივე თანამიმდევრული იყვნენ, როგორიც მათი საუკეთესო წარმომადგენლები არიან. დაე, პარტიისა და ხალხის წინაშე ასეთივე პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდეს ყოველ კომუნისტ-ლიტერატორს, კომუნისტ-კომპოზიტორს, კომუნისტ-მხატვარს, კომუნისტ-არქიტექტორს, კომუნისტ-მსახიობს, კომუნისტ-რეჟისორს.

ასეთივე სულისკვეთებით უნდა აღზარდონ პარტიულმა ორგანიზაციებმა მომავალი თაობა, ღირსეული შემოქმედებითი ცვლა. **ლიტერატურაში, ხელოვნებაში, სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში ფართო გზა უნდა გავუხსნათ ახალგაზრდებს.** მას, ახალგაზრდობას ეკუთვნის მომავალი, სწორედ მან უნდა განაგრძოს, მან უნდა განავითაროს ჩვენი კულტურის საუკეთესო ტრადიციები და დღესვე უნდა ვამზადებდეთ ხვალინდელი დღისათვის.

V.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, საქმე ბევრი გვაქვს. უნდა გადავწყვიტოთ დიდი პრობლემები. ჩვენს წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. და ეს ამოცანები უნდა გადაწყვიტონ, მთელ ამ საქმეებს თავი უნდა გაართვან უწინარეს ყოვლისა შრომითმა კოლექტივებმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეთაურობით. ეს ამოცანები კომუნისტებმა უნდა გადაწყვიტონ.

სწორედ ამიტომ დღეს საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა **უფრო და უფრო ავამაღლოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი სკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების განხორციელებაში.**

ეს პრობლემა ახლა განსაკუთრებით აქტუალური, განსაკუთრებით საჭირბოროტოა. პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფა, მათი ბრძოლისუნარიანობის, მათი ავტორიტეტის ამაღლება განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენი პარტიის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა, რადგან სწორედ **პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს**, როგორც ყრილობაზე თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, **განეკუთვნება უპირველესი როლი კომუნისტური მშენებლობის დიდი და მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტაში.**

მოდით, ამხანაგებო, ჩავუფიქრდეთ, რა ღრმა აზრს შეიცავს სიტყვა **პირველადი.**

პირველადი — ეს ნიშნავს თავდაპირველს, პირველქმნილს, ყველაზე პირველს, ყველაზე ძირითადს. პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიული ორგანიზმის ძირითადი უჯრედია. და როგორც ყოველი უჯრედი მინიატურაში მთელი ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციებს ასრულებს, ისე პირველადი ორგანიზაციაც განსაზღვრავს მთელი ჩვენი ლენინური პარტიის ცხოველმოქმედებას. ასევე, **პარტიის მთელი ცხოვრება**, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, **პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობით გამოიხატება და აისახება.**

სწორედ ამით არის ნაკარნახევი პარტიის მუდმივი ზრუნვა პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მათი ავანგარდული როლის გადიდებისათვის.

პარტიაში პირველადი ორგანიზაციების, როგორც მისი საფუძვლის, როლი და ადგილი განისაზღვრება იმით, რომ ისინი მოქმედებენ ხალხის შუაგულში და მთელი თავიანთი მუშაობით აქტიურად უწყობენ ხელს პარტიის პოლიტიკის შერწყმას მასების ცოცხალ შემოქმედებასთან, სამეურნეო-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის მოწინავე ხაზზე არიან.

ძირითადი პარტიული რგოლების ასეთ მდგომარეობას უშუალოდ განსაზღვრავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ.

მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის პერიოდში კომუნისტურ მშენებლობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის გადიდებასთან ერთად, ცხადია, იზრდება მისი პირველადი ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობაც. ეს კანონზომიერებაა. და, როგორც ყოველი კანონზომიერი პროცესი, იგი ექვემდებარება საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონებს, საზოგადოებისა, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ცხოვრების ყველა სფეროში დემოკრატიული საწყისების კიდევ უფრო თანამიმდევრული გაღრმავება და გაფართოება, მასების შეგნებული და შემოქმედებითი აქტიურობის ზრდა.

სწორედ ამიტომაც თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვდა **ყოველდღიურად გვეზრუნა პირველადი და საამქრო პარტიული ორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების ბრძოლისუნარიანობის, შრომითი კოლექტივების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეზე მათი გავლენის გაძლიერებისათვის.**

ეს მოთხოვნა, ეს მითითება დაედო სწორედ საფუძვლად მთელ მუშაობას პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, და თუ ბოლომდე თანამიმდევრული ვიქნებით, — მთელ ჩვენს საქმიანობასაც საერთოდ, რამეთუ ჩვენთვის სავსებით ცხადი გახდა — **რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში — ეკონომიკურ, სოციალურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების წინააღმდეგ ბრძოლა უნ-**

და დაწყებულიყო ყველაზე ძირეულ რგოლებში — შრომით კოლექტივებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

ამიტომ მაშინვე, როგორც კი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დაიწყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების აქტიური განხორციელება, როცა განმტკიცდა ცენტრალური კომიტეტის აპარატი, როცა მიღებულ იქნა მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების კადრების სერიოზული განახლებისათვის, **მთელი ჩვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრმა სულ უფრო მეტად იწყო გადანაცვლება პირველადს პარტორგანიზაციებში, იქ, სადაც წყდება ყოველი საქმის, ყოველი წამოწყების ბედი.**

როგორ, რა გზებით, მუშაობის რა მეთოდებით, რა ფორმებით **უზრუნველვყოფდით პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებას, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მათი როლისა და მნიშვნელობის ზრდას უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში?**

რა ბერკეტები გვაქვს ახლა, რომელთა დახმარებითაც კვლავაც უნდა **ხრულვყოთ ამ პროცესის მართვა, კიდევ უფრო გავმართოთ პირველადი პარტორგანიზაციების მოქმედების მექანიზმი?**

ჯერ ერთი, ეს ბერკეტია პირველადი პარტორგანიზაციების ინფორმირების თანამიმდევრული გაუმჯობესება. რაც უფრო უკეთ იქნებიან ისინი ინფორმირებული, მით უფრო ამაღლდება მათი, როგორც შრომითი კოლექტივის ავანგარდის როლი.

ამ საქმეში გარკვეული გამოცდილება შევიძინეთ. მხედველობაში მაქვს ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში“ — გამოშვებაც, რომელსაც ყოველი პირველადი პარტორგანიზაცია იღებს; სპეციალური წერილებიც, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი უგზავნის პირველადს ორგანიზაციებს; შეხვედრები და საუბრებიც პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებთან ცენტრალურ კომიტეტში, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში.

მნიშვნელოვან ოპერატიულ ინფორმაციას იღებენ კომუნისტები უშუალოდ პირველადს პარტორგანიზაციებში პოლიტიკური განათლების ქსელის მეცადინეობის დღეებში, რომლებსაც ხშირად რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები ატარებენ. ამას უნდა დავუმატოთ ინფორმაციის ერთიანი დღეების, ერთიანი პოლიტდღეების ორგანიზაცია, პასუხისმგებელი მუშაკების რეგულარული შეხვედრები შრომით კოლექტივებთან და ა. შ. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობს ყველაზე აქტუალურ, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე კომუნისტთა სისტემატურ ინფორმირებას.

განვამტკიცოთ შეძენილი გამოცდილება, კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტორგანიზაციების ავტორიტეტი

(დასასრული)

ამ საქმეში ჩვენ საკმაოდ კარგი გამოცდილება შევიძინეთ. მაგრამ მიღწეულს არ უნდა დავჯერდეთ. ეს მუშაობა უნდა გავააქტიუროთ. როცა ზემდგომი პარტიული ორგანოების ანგარიშებს ისმენენ, წინასწარ დაგზავნილ მოხსენებებს ეცნობიან, ესე იგი, როცა საერთო რეგიონალური, ხშირად კი საერთო-პარტიული პრობლემების განხილვას ეზიარებიან, პირველადი პარტორგანიზაციები ამავე დროს უფრო ღრმად უნდა სწვდებოდნენ საკუთარი ამოცანების გადაწყვეტას, გრძნობდნენ უფრო მაღალ პასუხისმგებლობას თავიანთი კოლექტივის საქმის ვითარებისათვის.

ყოველივე ნათქვამიდან, ამხანაგებო, შეგვიძლია გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა:

— თვით ცხოვრება გვიკარნახებს იმის საჭიროებას, რომ მტკიცედ შემოვბრუნდეთ პირველადი პარტორგანიზაციებისაკენ!

პირველნი ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. პირდაპირ, გულახდილად უნდა ვაღიაროთ, ამხანაგებო: **საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისათვის, შემდეგ კი პირველადს პარტორგანიზაციათა მდივნების დღევანდელი რესპუბლიკური კრებისათვის მზადებამ გვიჩვენა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სათანადოდ ღრმად, სათანადოდ თანამიმდევრულად არ ვმუშაობთ პირველადს პარტორგანიზაციებთან.**

ძირითადად ეს ეხება ცენტრალური კომიტეტის დარგობრივ განყოფილებებს, სადაც, სამწუხაროდ, ზოგს ჰგონია თითქოს პირველადი პარტორგანიზაციები მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების სამდივნოსა და ბიუროს საზრუნავი იყოს. ეს აზრი უმართებულოა, და ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილებაში მომუშავე ამხანაგები თავად დარწმუნდნენ ამაში, როცა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ჩვენი მნიშვნელოვანი ღონისძიების მომზადებისა და ჩატარებისათვის მუშაობაში.

ამიტომ, ჩვენი აზრით, პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების, მათი როლისა და მნიშვნელობის, მათი ავტორიტეტის ამაღლებისათვის მთელი მუშაობა **უნდა დავიწყოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, მისი აპარატიდან, მისი მუშაკებიდან, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოდან.**

ამისათვის კი საჭიროა, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრები, მინისტრები, საქალაქო და რაიონული მასშტაბის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები უფრო ხშირად დადიოდნენ პირველადს პარტორგანიზაციებში, უფრო ახლოს ეცნობოდნენ მათს ცხოვრებას, უფრო ღრმად სწვდებოდნენ პრობლემებს, რომლებიც მათ აწუხებთ, ამასთან საჭიროა, როგორც ეს ხშირად ხდება, მივიდეთ ხოლმე არა მარტო დიდ პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც საქმეები, ძირითადად ცუდად არ მიდის, არამედ მცირერიცხოვან ორგანიზაციებშიც, რომლებსაც განსაკუთრებით სჭირდებათ დახმარება, რჩევა-დარიგება და რეკომენდაციები. არადა, ასეთი ორგანიზაციები ჩვენში გაცილებით მეტია, და მათ არ უნდა მეურვეობდეს პარტიული კომიტეტის მხოლოდ ერთი ინსტრუქტორი, რომელიც თვითონაც მაინცდამაინც ხშირად ვერ მიდის ადგილებზე.

აქვე უნდა შევეხოთ პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობის დონეთა გათანაბრების საჭიროებასაც. არ უნდა იყოს ისეთი ვითარება, როცა ძლიერ პარტორგანიზაციებთან ერთად, სადაც კარგად არის საქმე მოგვარებული, სადაც უნარიანად, მებრძოლურად არის დაყენებული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, არიან ლამის მეზობლად, მეტად სუსტი ორგანიზაციები, სადაც საქმე ძალიან ცუდად მიდის.

ეს მოწმობს, რომ ზოგ ორგანიზაციას პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები მეტ ყურადღებას უთმობენ, ზოგს — ნაკლებს. არც ისეთი მდგომარეობა უნდა იყოს, როცა, რაც უფრო მცირერიცხოვანია ორგანიზაცია, რაც უფრო სუსტად ფლობს იგი პარტიული მუშაობის საშუალებებისა და მეთოდების არსენალს, მით უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა.

აქ, ისევე როგორც ყოველ საქმეში, საჭიროა კომპლექსური მიდგომა. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის, მათდამი უფრო ქმედითი დახმარებისათვის საჭიროა მრავალი ადამიანის კომპლექსური მონაწილეობა, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა, თავისი საქმის მცოდნეთა რჩევა-დარიგებანი და რეკომენდაციები.

სწორედ ასე უნდა მოვაწყოთ ეს მუშაობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, შესაბამისი სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში ხომ რამდენიმე ათასი კაცია. და თითოეული მათგანი კომუნისტია უწინარეს ყოვლისა თავის პირველადს პარტორგანიზაციაში. მაშ ვინ, თუ არა კომუნისტმა, რომელიც ასეთი მაღალი ნდობით სარგებლობს პარტიაში, უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ საქმე კარგად მიდიოდეს უწინარეს ყოვლისა იქ, სადაც თვითონ არის აღრიცხვაზე? განა ასე არ არის?

პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მთელი მათი საქმიანობის საერთო დონის მკვეთრი ამაღლება, გააძლიეროს მათი გავლენა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში, დაამკვიდროს იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მოწინავე გამოცდილება, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკური კრების ჩატარების დღეებში საბაზო ორგანიზაციები გახდნენ, გადააქციოს ისინი ჩვენს მუდმივმოქმედ **საყრდენ პუნქტებად, გახდოს ისინი ეტალონური პირველადი პარტორგანიზაციები.**

დღეს სპეციალურად ვამახვილებთ ყურადღებას პირველადი პარტორგანიზაციების **ავტორიტეტის** საკითხზე, რამეთუ მათი **ავტორიტეტის** ამაღლება მიგვაჩნია ახლა მთავარ ამოცანად.

ჩვენს პარტიაში **ავტორიტეტის** პრობლემა ახალი როდია.

ჯერ კიდევ 1906 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „მუშათა კლასს, რომელიც მთელ მსოფლიოში აწარმოებს ძნელსა და შეუპოვარ ბრძოლას სრული განთავისუფლებისათვის, ავტორიტეტები ესაჭიროება... პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლის ავტორიტეტი ესაჭიროება ყველა ქვეყნის პროლეტარებს. მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსთა ავტორიტეტი ჩვენ გვჭირდება ჩვენი პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის გასარკვევად".

გადაწყვეტილებათა ავტორიტეტის გაფრთხილების საჭიროების შესახებ ილაპარაკა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თბილისში გამართულ ზეიმზე, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, კვლავაც უნდა ვადევნოთ თვალი იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი ჯეროვნად სრულდებოდეს როგორც რესპუბლიკაში, ისე ცენტრშიც. ამავე ზეიმზე მან მოგვიწოდა კვლავაც ავამაღლოთ საბჭოთა საქართველოს **ავტორიტეტი.**

დღეს ვლაპარაკობთ პირველადი **პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტის** ამაღლების საჭიროებაზე. და ამ დროს ვხელმძღვანელობთ იმით, რომ რაც უფრო მაღალია მისი ავტორიტეტი, რომელიც უზრუნველყოფილია თვით ფართო მასების მტკიცე და მყარი მხარდაჭერით, მით უფრო წარმატებით, მით უფრო ეფექტიანად შეძლებს პირველადი პარტიული ორგანიზაცია შეასრულოს მის წინაშე დასახული ამოცანები — **დარაზმოს ადამიანები, გაიყოლიოს ისინი დასახული მიზნების მისაღწევად, ესე იგი მუდამ იყოს შრომითი კოლექტივის ნამდვილი ლიდერი.**

ეს ავტორიტეტი მარტო თვით პირველადს პარტორგანიზაციას როდი სჭირდება, **ისევე როგორც პირველადი პარტორგანიზაციებისაგან შედგება მთელი პარტია, ისე მთელი პარტიის ავტორიტეტი იქმნება მისი ცალკეული რგოლების ავტორიტეტისაგან.**

წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ჩვენი პარტიის ნამდვილი ლიდერის, ერთგული ლენინელის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ავტორიტეტი.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაიზარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ავტორიტეტი. გასული წლის მაისში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, რომ საქართველოში მიღწეული წარმატებანი **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის შედეგიცაა, რომელიც სწორად იქცევა, რომ დაბეჯითებით ამაღლებს მომთხოვნელობას ხელმძღვანელი კადრებისადმი, განამტკიცებს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, უკომპრომისოდ იბრძვის სხვადასხვაგვარი ნეგატიური გამოვლინებების წინააღმდეგ.**

ბევრად უფრო მაღალია ახლა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ავტორიტეტიც იმის მეოხებით, რომ ისინი უფრო ღრმად წვდებიან რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, უფრო კონკრეტულ, პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს იღებენ და ახორციელებენ კიდეც.

ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ჯეროვან სიმაღლეზე ავიყვანოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტიც.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი — ეს არის მისი მუდმივი მზადყოფნა ყოველთვის, ყოველგვარ სიტუაციაში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა კონკრეტულ ვითარებაში იყოს კოლექტივის ნამდვილი მებრძოლი ლიდერი, მისი სული და გული, მუდამ იყოს მის ავანგარდში.

მაგრამ დღეს სინანულით გვიხდება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ პირველადი პარტორგანიზაციის ავანგარდული როლი ყველგან და ყოველთვის როდი ვლინდება. ხშირად იგი რამდენადმე დაკნინებულია იმის გამო, რომ, როგორც აქ სწორად აღინიშნა, ზოგჯერ ჩვენ თვითონ საკმაოდ არ ვამაღლებთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მათი მდივნების, კომუნისტების პასუხისმგებლობას, ისეთივე მაღალი მომთხოვნელობით არ ვეკიდებით მათ, როგორც ვთქვათ, საბჭოთა ხელმძღვანელებს, თუმცა არსებითად, **პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობა პარტიული ორგანოს წინაშე ნაკლები არ უნდა იყოს, ვიდრე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა.**

სწორედ ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდანაც, რომელზეც უკვე იყო საუბარი. ამ შედეგების მიხედვით კომუნისტთა მხოლოდ მესამედს მიაჩნია, რომ შრომითი კოლექტივის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი, ყველაზე პრინციპული საკითხები წყდება პარტბიუროების სხდომებსა და პარტიულ კრებებზე, ხოლო გამოკითხულთა 58 პროცენტი იმ თვალსაზრისს ადგას, რომ გადაწყვეტილებებს ყველა ამ საკითხზე იღებენ დირექტორის კაბინეტში. დამეთანხმეთ, რომ ასეთი მდგომარეობა რამდენადმე დამაფიქრებელია.

ჩვენს წინაშე დასახული ყველა ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ჩვენი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სერიოზულ დახვეწას. და მის მთავარ მიმართულებად მიგვაჩნია **პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტის შემდგომი ამაღლება, მათი როლისა და მნიშვნელობის გაზრდა.**

პირველადი პარტორგანიზაცია ავტორიტეტს აღწევს ადმინისტრაციასთან, შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელებთან მჭიდრო, საქმიანი კონტაქტების საფუძველზე. ამის შესახებ სწორად ილაპარაკა დღეს „ინქიმშენის" ტრესტის პარტკომის მდივანმა ამხ. გ. ა. ახალაიამ. მართლაც, პარტიულ ორგანიზაციას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია იმისათვის, რომ სულ უფრო სრულყოს სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობის სტილი, უფრო აქტიურად ჩააბას ისინი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში. ამისათვის დიდი შესაძლებლობები, მრავალფეროვანი ფორმები გვაქვს, და ისინი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

პარტორგანიზაციებისათვის ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების მინიჭება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მუშაობა უნდა იგებოდეს ეგრეთ წოდებულ კონფლიქტურ სიტუაციებზე. პირიქით, მას საფუძვლად უნდა ედოს ჯანსაღი, წმინდა პარტიული ურთიერთდამოკიდებულება. ეს ურთიერთდამოკიდებულება პარტიული ფორმებით, პარტიული მეთოდებით უნდა წარიმართოს.

სხვათა შორის, უფლებებით სარგებლობაც საქმის ცოდნით, როგორც იტყვიან, არის საჭირო! უფლებები — ეს არის ძალაუფლება, და ადამიანი, მით უმეტეს — კომუნისტი, უნდა იცავდეს ეთიკას, მინიჭებული უფლებების გამოყენების კულტურას.

მაგრამ ადმინისტრაციის საქმიანობის სკკპ წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმარისად ვერ იყენებენ. ამას ადასტურებს სოციოლოგიური კვლევის მონაცემებიც. გამოკითხულთა 20 პროცენტს მიაჩნია, რომ პირველადი პარტორგანიზაციები, სადაც ისინი აღრიცხვაზე არიან, სუსტად ან სრულიად არ სარგებლობენ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებით. უფრო მეტიც, ყოველმა მეოთხემ განაცხადა, რომ მათი პარტორგანიზაცია ადმინისტრაციის ნებას ემორჩილება იმ შემთხვევებშიც კი, როცა აშკარად მცდარ გადაწყვეტილებებს იღებენ. 36 პროცენტი ამას იმით ხსნის, რომ პარტბიუროს მდივანი ეთათბირება მხოლოდ ადმინისტრაციას, 30 პროცენტს მიაჩნია, რომ ადმინისტრაცია ფაქტობრივად ანგარიშვალდებული არ არის პარტორგანიზაციის წინაშე.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ უაღრესად საჭიროა განხორციელდეს კონკრეტული, პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება „ადმინისტრაციის საქმიანობისა და აპარატის მუშაობისადმი კონტროლის განმახორციელებელი პირველადი პარტიული ორგანიზაციების კომისიების შესახებ", მთლიანად შესრულდეს ამასთან დაკავშირებით შემუშავებული სპეციალური დებულების მოთხოვნები, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს პარტორგანიზაციისა და ადმინისტრაციის ურთიერთობის ხასიათს.

ავამაღლოთ პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტი — ეს ნიშნავს უკეთ მოვახმაროთ მათი მეცადინეობა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის ორგანოების, ადმინისტრაციის მეცადინეობა პარტიული ორგანიზაციის მთავარი, ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას. კარგად ილაპარაკა აქ ამის შესახებ თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანმა ამხ. მ. ნ. თევდორაშვილმა. სწორია, რომ ყოველმხრივ უნდა ავამაღლოთ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის — პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ავტორიტეტი. და რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ამ ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის კარგად მოფიქრებული სისტემით, ასეთი სისტემა უნდა შეიქმნას.

გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა პროფკავშირებისადმი, კომკავშირისადმი — ეს ნიშნავს ავამაღლოთ თითოეული. საზოგადოებრივი ორგანიზაციის კონკრეტული წვლილი თითოეული შრომითი კოლექტივის კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში. სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი სსრ კავშირის პროფკავშირთა ახლახან გამართულ XVII ყრილობაზე, ამ ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, აგრეთვე საქართველოს პროფკავშირთა და რესპუბლიკის კომკავშირის ყრილობებზე.

იმისათვის, რომ პირველადი პარტორგანიზაცია მუდამ იყოს შრომითი კოლექტივის იდეური, სულიერი ლიდერი, უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ადამიანთა სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების ამოცანები იქნება არა მეორე პლანზე, როგორც ეს არცთუ ისე იშვიათად ხდება ხოლმე, არამედ ყველა პარამეტრის — განსახილველ საკითხთა შორის ხვედრითი წილის, მათზე დახარჯული დროის ბიუჯეტის, მათდამი მიდგომის ხასიათის — მიხედვით ყოველთვის იქნება პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობის ქვაკუთხედი, რომლის მთავარი, ძირითადი ფუნქციებია აღმზრდელობითი ფუნქციები. **რაც უფრო შეგნებულად მოეკიდებიან ადამიანები თავიანთ საქმეს, მით უფრო წარმატებით წაიწევს წინ თვით საქმეც!**

ამრიგად, პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი საბოლოო ანგარიშით იქმნება მთელი მისი მუშაობით, მისი საქმიანობის მთელი სტილით, ფორმებითა და მეთოდებით. ერთი სიტყვით, ისევე როგორც ყოველი ადამიანი, პირველადი პარტორგანიზაციაც ავტორიტეტს იხვეჭს კონკრეტული, პრაქტიკული საქმეებით. ისევე როგორც ყველაფერში, აქაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ამ ერთიანობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ პარტიული მუშაობის ზუსტი დაგეგმვის პირობებში, რაც სწორად თქვა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანმა ამხ. გ. ი. ამირანაშვილმა. მაგრამ აქ ჯერ კიდევ არის ბევრი ნაკლი, შეუთანხმებლობა, ფორმალიზმი, საქმისადმი შაბლონური მიდგომა. ცხადია, ყოველივე ეს ამცირებს პარტიული ხელმძღვანელობის ეფექტიანობას, არ იძლევა საშუალებას მთავარი გამოვყოთ მეორეხარისხოვანისაგან, არ უზრუნველყოფს ყველა დასახული ღონისძიების რეალიზაციას.

ბათუმის რკინიგზის კვანძის პარტკომის მდივანმა ამხ. ტ. ს. მეგრელიშვილმა დღეს დამაჯერებლად ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საერთო საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაში ჩაბმულ მონათესავე საწარმოთა პირველადმა პარტორგანიზაციებმა უნდა გააერთიანონ მეცადინეობა, უფრო მჭიდრო საქმიანი კონტაქტი დაამყარონ ერთმანეთთან.

იმისათვის, რომ პირველადი პარტორგანიზაცია ავტორიტეტიანი იყოს, საჭიროა, რომ მთელი მისი ცხოვრება და მთელი მისი საქმიანობა მთლიანად შეესაბამებოდეს დღევანდელ, თანამედროვე ამოცანებს. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, გვმართებს, თუ გნებავთ, **გავათანამედროვოთ** პარტიის ამ ძირეული რგოლების მუშაობა, ისე მოვიქცეთ, რომ ისინი მთლიანად შეესაბამებოდნენ **თანამედროვე** ადამიანის, 80-იანი წლების კომუნისტის **თანამედროვე** მოთხოვნებს.

ამავე დროს **პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი** ბევრად არის დამოკიდებული **პარტორგანიზაციის მდივანზეც, მის პირად ავტორიტეტზე,** პარტიული ბიუროს, პარტიული კომიტეტის წევრთა ავტორიტეტზე. და ამხანაგებმა სწორად აღნიშნეს ეს.

ჩვენ პირველადი პარტორგანიზაციების ძალიან ბევრი დიდად განათლებული, მაღალერუდირებული, მაღალკომპეტენტური და, მაშასადამე, მაღალავტორიტეტიანი მდივანი გვყავს, რომლებსაც აქვთ კარგი ორგანიზატორული, საქმიანი თვისებები, არიან იდეურად მტკიცენი, პოლიტიკურად გამოწრთობილნი. ისინი აქ, ამ დარბაზში სხედან. ესენი არიან საინტერესო ბედის ადამიანები, რომლებმაც ცხოვრების დიდი, კარგი სკოლა გამოიარეს.

თათბირის მონაწილეთა შორის ვხედავ ტრისტან ქართველიშვილს — წარჩინებულ მშენებელს, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, ჩვენს რესპუბლიკაში კარგად ცნობილ ადამიანს. აი მის გვერდით ზის მარინე ვასილის ასული აბულაძე, რომელმაც მასავით მეჩარხედ დაიწყო მუშაობა. შემდეგ ხელმძღვანელობდა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას, ახლა კი საწარმოო გაერთიანება „კრწანისის" პარტკომის მდივნად მუშაობს. ტრისტანი ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე დაიმსახურა ავტორიტეტი და ამხანაგების პატივისცემა. სწორედ ამიტომ გახდა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ამასთან მან დაუსწრებლად და წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი პარტიული სკოლა. ყოველივე ამის შემდეგ გასაგები ხდება „თბილისქალაქმშენის" № 2 სახლთსაშენებელი კომბინატის კომუნისტებმა რამდენიმე დღის წინათ რატომ აირჩიეს იგი პარტიული კომიტეტის მდივნად. ტრისტან ქართველიშვილი შესანიშნავად აშენებს სახლებს. სულითა და გულით მინდა ვუსურვო მას ასეთივე შესანიშნავი პარტიული ხელმძღვანელი გამხდარიყოს. აი ვასილ ექვთიმეს ძე რევაზოვს კი უკვე მეოთხედი საუკუნეა ირჩევენ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სამქრო პარტიული ორგანიზაციის მდივნად, იმ სამქროსი, სადაც იგი ორმოცდაერთი წელია მუშაობს. ვასილ ექვთიმეს ძე მაღალკვალიფიციური ოსტატია. ამასთან ერთად შესანიშნავად ფლობს ადამიანებთან ურთიერთობის ოსტატობას, ყოველთვის პოულობს მათი გულის მისადგომ გზას. ეს ღირსეული, პატივცემული კაცი, ნამდვილი პარტიული წინამძღოლია.

330-ზე მეტ კომუნისტს აერთიანებს ქუთაისის ლითოფონის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. წარმოება აქ რთულია, და ქარხნის კომუნისტებს სათავეში უდგას ნათელა კონსტანტინეს ასული ტუღუში, პროფესიით — ქიმიკოსი ინჟინერი, მოწოდებით — პარტიული მუშაკი. ნათელა ტუღუში ამ საწარმოში გაიზარდა. მთელი რიგი წლების მანძილზე მუშაობდა აქ კომკავშირის კომიტეტის მდივნად, არჩეული იყო პარტიული კომიტეტის წევრად და უკვე შვიდი წელია უცვლელად ხელმძღვანელობს ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას. და, როგორც ამხანაგები ამბობენ, არც თუ ისე ცუდად ხელმძღვანელობს. მინდა მას ვუსურვო დიდი წარმატებანი მუშაობაში, ბედნიერება ოჯახში, შვილების აღზრდაში.

ამას წინათ მომიხდა ყოფნა ფოთის „ჰიდრომანქანის" ქარხანაში, რომელიც ინიციატორია მოძრაობისა დევიზით: „პროდუქციის მაქსიმუმი — დანახარჯების მინიმუმი". აქ ნამდვილად კარგი კოლექტივი ჩამოყალიბდა, და ამაში დამსახურება მიუძღვის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ადმინისტრაციასთან ერთად მოქმედებს, ამაში დამსახურება მიუძღვის, რა თქმა უნდა, პარტბიუროს მდივან გურამ ლექვასაც. 18 წლის ჭაბუკი იყო გურამი, ქარხანაში რომ მოვიდა. არმიაში სამსახურის შემდეგ კვლავ მშობლიურ კოლექტივს დაუბრუნდა და მაღალკვალიფიციური ხარატი გახდა. დამკვრელური შრომისათვის მას „საპატიო ნიშნის" ორდენი მიენიჭა, არჩეული იყო პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის წევრად. და სწორედ მას მიანდეს საწარმოს კომუნისტებმა პარტიული ორგანიზაციის მდივნის პოსტი: ამ ნდობას იგი ღირსეულად ამართლებს.

მეშვიდე წელია სათავეში უდგას აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას მიხეილ მახტის ძე ხაგუში. მუშაობდა ბრიგადირად მშობლიურ კოლმეურნეობაში, სათავეში ედგა კომკავშირულ ორგანიზაციას, ახლა კი ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მეურნეობის კომუნისტების ხელმძღვანელობს. პარტკომის მდივანი მუდამ მოწინავე ხაზზეა, ყოველთვის იქ არის, სადაც საქმის ბედი წყდება. მისი შრომითი წვლილი დიდად დააფასა სამშობლომ. მიხეილ ხაგუში ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანია. წინ კი ახალი მიჯნებია, რომლებიც უნდა დაიპყრონ ამ მოწინავე კოლექტივის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა.

აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივი კარგად იცნობს გულნარა ილიასის ასულ ბასილაძეს, თუმცა იგი ჯერ სულ ახალგაზრდაა. გულნარამ თავი გამოიჩინა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივნად მუშაობის დროს. იგი პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად აირჩიეს, ამ დღეებში კი პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივნად დააწინაურეს.

კარგი ცხოვრებისეული სკოლა გაიარა ზუგდიდის რაიონის ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა ლერი ფოლადის ძე ჭითანავამ. თავდაპირველად რიგითი კოლმეურნე იყო, შემდეგ — საბჭოთა არმიის მეომარი. როცა ჯარში სამსახური მოიხადა, ენგურჰესის მშენებლობაზე წავიდა. შემდეგ კომკავშირული და პარტიული მუშაობა. შრომისმოყვარე ლერი ჭითანავა, რომელსაც უნარი შესწევს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე, პრინციპული და კომპეტენტური ბევრი საკითხის გადაწყვეტაში, მარტო თავის მეურნეობაში როდია ავტორიტეტიანი კაცი. მას იცნობენ და პატივს სცემენ რაიონშიც.

ბევრი რამ უნდა გააკეთოს ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციის მდივანმა კონსტანტინე ირაკლის ძე ბაგაევმა იმისათვის, რომ აქ საქმე კარგად მიდიოდეს. და იგი ცდილობს, ძალ-ღონესა და ენერგიას არ ზოგავს, რათა გაამართლოს თავისი ამხანაგების — კომუნისტთა ნდობა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობას ზედიზედ ხუთჯერ მიენიჭა რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშა. მთელი ამ წლების მანძილზე კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას მეთაურობს ათანას მისაკის ძე ტოროსიანი, მშობლიურ კოლექტივში მან განვლო გზა რიგითი კოლმეურნიდან პარტბიუროს მდივნამდე, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, დავაჟკაცების, სიმწიფის გზა. სოფელ ხანდოს კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს დასახული სასურსათო პროგრამის შესრულება. გვინდა გვჯეროდეს, რომ ამ მეურნეობის კომუნისტები თავიანთი პარტკომის მდივნის ათანას მისაკის ძე ტოროსიანის მეთაურობით შეძლებენ მის განხორციელებას.

კომკავშირული, ხოლო შემდეგ პარტიული მუშაობის გამოცდილება დაეხმარა ზულფიგარ ვეისალ ოღლი ორუჯევს, როცა იგი ბოლნისის რაიონის სარაჩლოს საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივნად აირჩიეს. მას შემდეგ ერთი წელიც არ გასულა, მაგრამ მან შეძლო საერთო ენა გამონახა მშრომელებთან, დარაზმა ისინი პარტიული ორგანიზაციის გარშემო, და მეურნეობაში უკვე დაისახა დადებითი ძვრები, თუმცა იგი წინათ საუკეთესოთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. ვუსურვოთ მას შემდგომი წარმატებანი.

აქ ძირითადად ლაპარაკი იყო როგორც ასაკით, ისე პარტიული მუშაობის სტაჟით ახალგაზრდა მუშაკების შესახებ. ახლა კი მინდა ვილაპარაკო ადამიანზე, რომელმაც ჩვენი ახალგაზრდობის არაერთი თაობა აღზარდა. ეს არის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე სამქროს პარტბიუროს მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი არჩილ ვასილის ძე ძამაშვილი, თავის მშობლიურ საბრძმედე სამქროში არჩილ ვასილის ძე წარმოების ამუშავების დროიდან შრომობს. იგი მონაწილეობდა თუჯის პირველ დნობაში. აქ შრომაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭა გმირის წოდება. მთელი რიგი წლების მანძილზე იგი მეთაურობს რუსთავის დამრიგებელთა საბჭოს. და სწორედ ასეთი ავტორიტეტიანი კაცი ხელმძღვანელობს დღეს საბრძმედე სამქროს — საწარმოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის პარტიულ ორგანიზაციას.

აი როგორი კადრები გვყავს, ამხანაგებო, აი რა შესანიშნავი ადამიანები აღიზარდნენ ჩვენს პარტიაში. და ასეთი ადამიანები, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბევრი გვყავს, და სწორედ ასეთ ადამიანებს, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, ყველაზე ავტორიტეტიან და ყველაზე პატივსაცემ ადამიანებს ირჩევენ კომუნისტები პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში.

და ეს თითქოს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გამოკითხულ კომუნისტთა დიდმა უმრავლესობამ მაღალი შეფასება მისცა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პოლიტიკურ, საქმიან და ზნეობრივ თვისებებს, ავტორიტეტს, აღნიშნა მათი გულისხმიერება, დემოკრატიულობა, კოლექტივში სამუშაო, საქმიანი ატმოსფეროს შექმნის უნარი, მათი დამსახურება ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებაში. სწორედ ასეთი უნდა იყოს პარტორგანიზაციის მდივანი, პარტბიუროს წევრი.

ავტორიტეტიანი რომ იყოს, მან კარგად უნდა იცოდეს ის საქმე, რომელსაც ძალ-ღონეს ახმარს კოლექტივი, იყოს კომპეტენტური ამ საქმეებში. ეს ფრიად მნიშვნელოვანია. მის აზრს ადამიანები ანგარიშს უნდა უწევდნენ, მის რჩევას უნდა ასრულებდნენ. პარტორგანიზაციის მდივანი ყოველთვის უნდა იყოს პრინციპული, თანამიმდევრული, ყოველთვის და ყველაფერში მტკიცედ იდგეს პარტიულ პოზიციებზე, მზად იყოს ბოლომდე დაიცვას სიმართლე, არავის არ მისცეს უპირატესობა და შეღავათი ამხანაგური, მეგობრული და მით უმეტეს — ნათესაური ურთიერთობის გამო, ყოველთვის პატიოსანი იყოს საკუთარი თავისა და სინდისის წინაშე, ყოველთვის პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

ავტორიტეტიანი რომ იყოს, პარტორგანიზაციის მდივანი ამასთან უნდა იყოს სამართლიანი და ობიექტური, უაღრესად პატიოსანი თავისი ფიქრებითა და ქცევით, კეთილშობილი, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე, სულგრძელი ადამიანი, იყოს კეთილი და გულისხმიერი, ყურადღებიანი ადამიანებისადმი, უყვარდეს ადამიანი, ცხოვრობდეს მისი ინტერესებითა და საზრუნავით, შეეძლოს ყოველთვის დაეხმაროს, მხარი დაუჭიროს სიძნელის ჟამს, უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებდეს ადამიანებისათვის ზრუნვა. ესეც ფრიად მნიშვნელოვანია.

ავტორიტეტიანი რომ იყოს, არასდროს არ უნდა სჯერდებოდეს მიღწეულს, იყოს თვითკრიტიკული და მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, შემოქმედებითად უდგებოდეს საქმეს, ყოველთვის ეძებდეს ახალ გზებს, მუშაობის ახალ ფორმებს, უფრო თამამად მიმართავდეს ექსპერიმენტებს.

რა თქმა უნდა, არც ისე ადვილია გქონდეს ყველა ეს თვისება, არც ისე ადვილია იყო პარტიული წინამძღოლი, მაგრამ ასეთი ადამიანები არიან ყოველ კოლექტივში. და პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს რომ ირჩევენ, კომუნისტები სწორედ ასეთი საზომით, ასეთი პოზიციით უნდა მიუდგნენ მას.

როგორც სწორად შენიშნა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. რ. ა. თხელიძემ, პირველადი ორგანიზაციების პარტკომის მდივნებისა და წევრების კადრების შერჩევა რთული, ფაქიზი, როგორც იტყვიან, დელიკატური საქმეა. აქ საჭიროა ადამიანის, კომუნისტის საქმიანი და პირადი თვისებების ჰარმონიული შერწყმა, მჭიდრო ინტეგრაცია. ეს ნამდვილი ხელოვნებაა და ამ ხელოვნებას მოთმინებითა და გულმოდგინედ უნდა ვეუფლებოდეთ.

სწორედ ახლა უნდა ვთქვათ კომუნისტების ავტორიტეტზეც, **თითოეული კომუნისტის ავტორიტეტზე,** რაც ქმნის მთელი პირველადი პარტორგანიზაციის ავტორიტეტს.

ამ შემთხვევაში **კომუნისტის ავტორიტეტს** აყალიბებს მისი საქციელი და მოქმედება, საქმისადმი მისი დამოკიდებულება, ქცევა ყოფა-ცხოვრებაში, ადამიანებთან მისი ურთიერთობა — კომუნისტის მთელი სახე, მისი ცხოვრებისეული, პარტიული პოზიცია.

სწორედ ამიტომ, ამხანაგებო, ასე დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ პირველადი პარტორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა არ იფარგლებოდეს მხოლოდ შრომითი კოლექტივის სფეროთი, არამედ სულ უფრო აქტიურად მოიცავდეს თავისი გავლენით კომუნისტის ოჯახსაც, თითოეული მშრომელის ოჯახს. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი წერს თავის „მოგონებებში", სწორედ ოჯახშია „ადამიანის ხასიათის, ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების სათავე".

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ოჯახის, მშობლების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში. როგორც უკვე აღინიშნა აქ, ამ საკითხთა შესწავლამ ქალაქ თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონების პარტიული ორგანიზაციების მაგალითით გვიჩვენა, რა უდიდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობით და იდეურ-ზნეობრივ პოტენციალს შეიცავს ოჯახური აღზრდა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ჯეროვანი გავლენა მოვახდინოთ ახალგაზრდა ადამიანის იდეურ ჩამოყალიბებაზე, იმაზე, რომ ჩავუნერგოთ მას გონივრული მოთხოვნილებანი და ინტერესები, უნარი — სწორად ერკვეოდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებსა და მოვლენებში.

ჩვენთვის სრულიადაც არ არის სულერთი, როგორ იქცევა კომუნისტი შინ, ოჯახში. სავსებით ვეთანხმები ამხანაგებს, რომლებმაც თქვეს, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა პარტიის ზოგიერთ წევრს გარკვეული აზრით, **პიროვნების გაორება** ახასიათებს: სამუშაოზე, თავის კოლექტივში, საზოგადოებაში სხვა ადამიანია, შინ კი სულ სხვა. კრებაზე ერთს ამბობს მეგობრებთან, სუფრასთან — სრულიად საწინააღმდეგოს. **კომუნისტი ყოველთვის და ყველგან უნდა იყოს ხალასი — პარტიის იდეების, კომუნიზმის საქმის ერთგული!**

ვფიქრობ, დადგა დრო მთელი სიმწვავით დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა **ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის უფრო მჭიდრო, ორგანული შეხამება — მთელი ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ურყევი ლენინური პრინციპის განხორციელება.**

საჭიროა ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უმტკიცესი კავშირი, მისი ნამდვილი შედუღაბება. ეს არის ბევრი ამოცანის, ბევრი პრობლემის გადაწყვეტის საშუალება.

ეს უბრალო ლაპარაკი როდია, ამხანაგებო. საქმე ეხება იმას, რამდენად შეესაბამება თითოეული კომუნისტი თავის მაღალ **წოდებას** და თავის **მოწოდებას** ცხოვრებაში, სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება **კომუნისტის პარტიულობას,** იმას, რამდენად პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებს იგი პარტიის წესდებით განსაზღვრულ მოვალეობებს, როგორ სარგებლობს იმავე წესდებით მინიჭებული უფლებებით.

ალბათ, გაგვიძნელდება იმის გამოანგარიშება, რამდენად ძლიერ არყევს მთელი პირველადი პარტორგანიზაციის ავტორიტეტს თითოეული კომუნისტის ყოველი უღირსი საქციელი. ეს ალბათ, არავითარ აღრიცხვას, არავითარ სტატისტიკას, არავითარ სოციოლოგიურ კვლევას არ ექვემდებარება. პირდაპირ უნდა ვთქვათ: **პარტიის თუნდაც ერთი წევრის უღირსი ქცევა ლახავს კომუნისტის მაღალ წოდებას.** ამაზე უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ.

დროა მთელი სიმწვავით დავაყენოთ საკითხი: **თავისი უღირსი საქციელისათვის პასუხისმგებელია არა მარტო კომუნისტი, არამედ ისიც, ვინც მას რეკომენდაცია მისცა პარტიაში შესასვლელად.** მასაც აგრეთვე უმკაცრესად უნდა მოვკითხოთ. ჩვენ კი პასუხს არ ვთხოვთ. უნდა მოვკითხოთ იმ კომუნისტებსაც, რომლებიც მუშაობენ მის გვერდით, მის მხარდამხარ, მეზობელ ჩარხებთან და მეზობელ მაგიდებთან, ხედავენ, რომ მათი თანაპარტიელი ამხანაგი დგება უპატიოსნო გზაზე, ზოგჯერ კი დამნაშავეობის გზაზე, ხედავენ და თვალს არიდებენ. ეს სწორი არ არის, პარტიული არ არის, ლენინური არ არის. ასეთი უპრინციპობა გარკვეულ ადამიანთა თვალში ლახავს პარტორგანიზაციის, თუ გნებავთ, მთელი პარტიის ავტორიტეტს. და ამისათვის პასუხი უნდა აგონ. **კომუნისტი პასუხისმგებელია არა მარტო საკუთარი თავისათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც მასთან ერთად ირიცხება ერთ პარტორგანიზაციაში.**

მაგონდება ერთი ეპიზოდი, რომელიც მოხდა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის IX ყრილობაზე, რომლის მუშაობაშიც ვმონაწილეობდი.

ყრილობის დელეგატი, მახსოვს, ეს იყო მუშა, ტრიბუნაზე მხოლოდ იმისათვის ავიდა, რომ ძალიან მოკლედ, ორი სიტყვით ეთქვა, როგორ ამზადებდა ერთ-ერთ თავის ამხანაგს პარტიაში შესასვლელად, როგორ ესაუბრებოდა მას, მიჰქონდა მისთვის პოლიტიკური წიგნები, ხვდებოდა სამუშაოზე და შინ, დასვენების ჟამს, და, ბოლოს როგორ მიიღეს ეს ამხანაგი პარტიაში. სულ ეს იყო კამათში მისი გამოსვლის არსი. თქვა და ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

ძნელი წარმოსადგენია, ამხანაგებო, რა ხდებოდა დარბაზში. მთელი ყრილობა ფეხზე ადგა. დელეგატები ფეხზე ამდგარი დიდხანს და მქუხარედ უკრავდნენ ტაშს ორატორს.

და ამით მათ გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება იმისადმი, რაც მან თქვა: **პარტიის რიგებს შეემატა კომუნიზმის საქმისათვის კიდევ ერთი თავდადებული, მტკიცე მებრძოლი.** და ყრილობა მიესალმა ამას. ყრილობამ ჯეროვნად დააფასა ისიც, ვინც მებრძოლი მოამზადა ასეთი ბრძოლისათვის. ეს იყო ნამდვილი რეკომენდატორი. იგი მზად იყო, როგორც იტყვიან, საკუთარი თავით ეგო პასუხი ადამიანისათვის, რომელსაც მან რეკომენდაცია მისცა კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად.

ამხანაგებო!

ჩვენ შევიკრიბეთ მალე მას შემდეგ, რაც საზეიმო ვითარებაში აღვნიშნეთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების დღე. და სწორედ დღეს გვახსენდება ლენინის სიტყვები:

— ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა...

იმისათვის, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა ისეთი იყოს, როგორც პარტია მოითხოვს, და კვლავაც მიზნად ისახავდეს კომუნისტთა და უპარტიოთა აღზრდას მაღალი იდეურობის, თავისი მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ღრმა გაგების სულისკვეთებით, უნდა ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ლენინის ფორმულით, ლენინის რჩევა-დარიგებით:

— მასებთან კავშირს უნდა ახორციელებდეს პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

— ცხოვრობდეს ხალხის შუაგულში — ასე უნდა ცხოვრობდეს პირველადი პარტორგანიზაცია.

— იცოდეს მისი განწყობილება, იცოდეს ყველაფერი — ეს ევალება პირველადს ორგანიზაციას.

— ესმოდეს მასებისა — ეს ევალება პირველადს პარტორგანიზაციას.

— შეეძლოს მიდგომა — ეს ევალებათ პირველადი ორგანიზაციის კომუნისტებს.

—მოიპოვონ მასების აბსოლუტური ნდობა — ასეთი ამოცანა უნდა დაისახონ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მხოლოდ მაშინ შევძლებთ ავამაღლოთ პირველადი პარტორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა, განვამტკიცოთ მათი ბრძოლისუნარიანობა, ავამაღლოთ მათი ავტორიტეტი.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით აღვუთქვა ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ძვირფას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ საქართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი წარმატებით შეასრულებენ ამ მნიშვნელოვან ამოცანას!

ჩვენ შევიკრიბეთ, ძვირფასო ამხანაგებო, პირველი მაისის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის წინ.

ამიტომ ნება მიბოძეთ მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ ყველას, თქვენი სახით კი რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს შრომის, მშვიდობისა და გაზაფხულის ეს მშვენიერი დღესასწაული, ბუნების განახლების დღესასწაული და სულითა და გულით გისურვოთ თქვენ და თქვენს ოჯახებს ჯანმრთელობა, სიხარული და დიდი ბედნიერება, ახალი წარმატებანი ცხოვრებასა და შრომაში, კარგი საგაზაფხულო გუნება-განწყობილება.

უნდა მოგახსენოთ, რომ წლევანდელი პირველი მაისი აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, ჩვენი მშობლიური და საყვარელი თბილისის ცხოვრებაში, საბჭოთა საქართველოს თითოეული მცხოვრების ცხოვრებაში, თითოეული თბილისელის ცხოვრებაში კიდევ ერთი ახალი, სასიხარულო მოვლენით.

შემიძლია გაცნობოთ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში ღვაწლისათვის, 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ქალაქის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი — ქალაქი თბილისი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით!**

ძნელია, ძალიან ძნელია, ალბათ, სიტყვებით გამოვხატოთ თითოეული ჩვენგანის სიხარული, გამოვხატოთ ის გრძნობები, რომლებითაც ახლა აღსავსეა ჩვენი გული! სულითა და გულით ვულოცავთ რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, მთელ ჩვენს ხალხს სამშობლოს ამ მაღალ ჯილდოს, იმიტომ რომ **საქართველოს დედაქალაქის დღესასწაული — ეს მთელი საქართველოს დღესასწაულია.**

ნიშანდობლივია, რომ ჩვენს ძველ და მარად ახალგაზრდა, გაზაფხულივით ახალგაზრდა თბილისს ლენინის ორდენი მიენიჭა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მეათე წლისთავის დღეებში, და ეს იმის საუკეთესო დადასტურებაა, თუ როგორი **საოცარი ცვლილებები მოხდა დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, რა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ამ წლების მანძილზე დედაქალაქის კომუნისტებმა** უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფაში, როგორც ეს მოითხოვა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ათი წლის წინათ, როგორც ეს ახლა მოითხოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას!

და კიდევ ერთხელ გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ყოველივე სიკეთეს! გისურვებთ დიდ ბედნიერებას!

(ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ გაისმოდა ტაში).

ᲔᲥᲕᲡᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენს დედაქალაქს საგასტროლოდ ჩამოვიდა აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი. რკინიგზის ვაგზალზე თბილისის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სტუმრებს. შეხვედრა ორი მოძმე ხალხის მეგობრობის ჭეშმარიტ დემონსტრაციად გადაიქცა.

დღეიდან თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე აფხაზი მსახიობები თბილისელებს უჩვენებენ სამ სპექტაკლს — შ. აჭინჯალის „წყაროს ხმას“, ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ და ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნის მიხედვით შექმნილ სპექტაკლს „აღორძინებას“.

სიტყვას ვაძლევთ სტუმრებს:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲡ

ᲨᲐᲠᲐᲮ ᲤᲐᲩᲐᲚᲘᲐ,

თეატრის დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ᲔᲡ ᲬᲔᲚᲘ ჩვენი თეატრისათვის ნაყოფიერი იყო. კოლექტივი დიდი წარმატებით გამოვიდა მოსკოვში, იყო საგასტროლოდ ქუთაისსა და მახარაძეში. ეს გასტროლები, რომლებიც გაიმართა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის დღესასწაულობის წინ, ჩვენს კოლექტივს მიაჩნია თავის შემოქმედებითს ანგარიშად საბჭოთა მაყურებლის წინაშე. თბილისში ჩვენი წლევანდელი გასტროლები ძმური შეხვედრების თავისებური გაგრძელებაა.

გვახარებს თბილისელებთან შეხვედრა, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, გვაღელვებს კიდეც. სახელოვანი თეატრალური ტრადიციების, მომთხოვნი მაყურებლის ქალაქში გასტროლები დიდად საპატიოა.

კოლექტივი თბილისში მთლიანი შემადგენლობით ჩამოვიდა, და მიუხედავად იმისა, რომ სამი დღის მანძილზე ძალზე ძნელია უჩვენო მთელი შენი შესაძლებლობები, გამოამჟღავნო მთელი შემოქმედებითი პოტენციალი, შევეცდებით გავახაროთ თბილისელები ჩვენი ხელოვნებით.

გულთბილად ვულოცავ ყველა თბილისელს, ქალაქის ყველა მშრომელს რესპუბლიკის დედაქალაქის ლენინის ორდენით დაჯილდოებას. ეს ჯილდო მთელ ჩვენ რესპუბლიკას ეკუთვნის. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი შემოქმედებით ხელს შევუწყობთ იმ საზეიმო განწყობილებას რომელიც გამეფებულია ახლა თბილისში.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲙᲝᲠᲢᲐᲕᲐ,

თეატრის მთავარი რეჟისორი, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ᲐᲛᲟᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ გასტროლები უაღრესად პასუხსაგები და საინტერესოა, ჩვენ ხომ ათი წელია თბილისელ მაყურებლებს არ შევხვედრივართ. ინტერესს გარკვეული მღელვარებაც თან ერთვის, კოლექტივის თითქმის ყველა წევრი ხომ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილია, მათ შორის მეც და, ცხადია, თბილისელთა შეფასებას და აზრს ფრიად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ათი წლის მანძილზე აფხაზეთის თეატრს საპატიო გასტროლები ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის ლენინგრადში, მოსკოვში... მოსკოვური გასტროლები ხომ ფართოდ გააშუქა გაზეთმა „კომუნისტმა“, საერთოდ რესპუბლიკურმა პრესამ.

სამი დღის მანძილზე თბილისელ მაყურებლებს მხოლოდ სამ სპექტაკლს ვუჩვენებთ. ამ მცირე გასტროლებით გვინდა შევამოწმოთ, რამდენად გაიზარდა და განვითარდა ჩვენი თეატრის ხელოვნება, ვართ თუ არა მოწინავე თეატრების დონეზე.

ჩვენ ყველას გვეამაყება ქართული თეატრალური კულტურის უდიდესი წარმატება. ამიტომაც შევეცდებით, ამ გასტროლებმა ჩვენი სამომავლო შემოქმედებითი კონტაქტების კიდევ უფრო განმტკიცება-გაღრმავებას შეუწყოს ხელი.

ᲔᲗᲔᲠ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐ,

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ გასტროლები დიდი მოვლენაა ჩვენთვის და როგორც შემოქმედებითი, ისე მორალური თვალსაზრისით სტიმულს გვაძლევს. მეც ხომ ერთ-ერთი იმათთაგანი ვარ, თბილისის თეატრალურმა ინსტიტუტმა რომ დააფრთიანა. გუშინდელივით მახსოვს სტუდენტობის წლები, პირველი როლები... სწავლის პერიოდში ქართულ და აფხაზურ ენებზე ვასრულებდი როლებს, ჯერ კიდევ სტუდენტმა მივიღე მონაწილეობა გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში „მგზნებარე მეოცნებე“, რომელშიც ნინო ჭავჭავაძის როლს ვასახიერებდი, მღელვარებით ვიგონებ ჩემს პედაგოგს აკაკი ხორავას, მოსკოვში საუკეთესო სადიპლომო სპექტაკლების დათვალიერებაში მონაწილეობას.

მას შემდეგ 20 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე აფხაზეთის თეატრის მრავალ სპექტაკლში მიმიღია მონაწილეობა, ყოველთვის დიდი კმაყოფილებით ვთამაშობდი ქართულ პიესებში.

საგასტროლო სპექტაკლებიდან ორში ვმონაწილეობ: „აღორძინებაში“ ვასილისას როლს ვასრულებ, ხოლო ო. იოსელიანის პიესაში „სანამ ურემი გადაბრუნდება“ — ლანდას როლს.

თბილისელ თეატრალურ მოღვაწეთა გულთბილმა შეხვედრამ გვაგრძნობინა, რომ ისინი დიდი ინტერესით მოელიან ჩვენს სპექტაკლებს. ვიმედოვნებ, რომ მოლოდინს გავუმართლებთ, ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ ჩვენი აღმზრდელების წინაშეც.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის წარმომადგენლები დედაქალაქის დათვალიერების დროს.

ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲔᲠᲥᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ქართული ხალხური სიმღერების უხუცეს შემსრულებელთა რიგებს კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა — 87 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შესანიშნავი ლოტბარი ვლადიმერ (ლადიკო) გიგოს ძე ერქომაიშვილი.

ვლადიმერ ერქომაიშვილის სახელთან არის დაკავშირებული გურული ხალხური მუსიკის ბევრი მარგალიტის აღდგენა, მომავალი თაობებისათვის მისი შეურყვნელი სახით გადაცემა და ხელახალი გაბრწყინება.

ვლადიმერ ერქომაიშვილს მრავალი მოწაფე ჰყავს დღეს საქართველოში, განსაკუთრებით გურიასა და აჭარაში.

იგი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ედგა სათავეში მახარაძის სიმღერისა და ცეკვის რაიონულ ანსამბლს, ეწეოდა პედაგოგიურ და საშემსრულებლო მოღვაწეობას აჭარის სახელმწიფო კაპელაში, აჭარის ეთნოგრაფიულ გუნდში.

წარმატებით გამოსულან მისი ანსამბლები მოსკოვში, ხარკოვში, მოძმე უკრაინასა და ლატვიის ქალაქებში და ყველგან ისინი კონკურსების უპირველეს კოლექტივებად უღიარებიათ.

დიდია ვლადიმერ ერქომაიშვილის დამსახურება მოზარდი თაობის აღზრდაში. იგი წლების განმავლობაში იყო მახარაძის ძველი გურული სიმღერების აღმდგენელი სკოლის პედაგოგი, პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ვოკალური ანსამბლის კონსულტანტი, ხოლო უკანასკნელ ხანს სათავეში ედგა რაიონის ძველი სიმღერების შემსრულებელ ვოკალურ ანსამბლს „ელესა“.

ხალხი, რომლის შვილიც იყო და რომელსაც უანგაროდ ემსახურებოდა ვლადიმერ ერქომაიშვილი, მუდამ სათუთად შეინახავს ამაგდარი ხელოვნის ხსოვნას, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲣᲜᲓᲝ ᲓᲐ ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

3 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

● ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲞᲠᲐᲦᲐ. 35 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც 1947 წლის 1 მაისს გამოვიდა ჟურნალ „ნოვა მისლის“ — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ორგანოს პირველი ნომერი. განვლილი წლების მანძილზე ეს გამოცემა გადაიქცა ჩეხოსლოვაკელ კომუნისტთა პარტიის საბრძოლო იარაღად მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შემოქმედებით გამოყენებაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში, სოციალიზმის მშენებლობის პრობლემათა შემუშავებაში, იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ჟურნალი თავის ფურცლებზე რეგულარულად ბეჭდავს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ხელმძღვანელების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა ძმური პარტიათა წარმომადგენლების გამოსვლებს. ყოველთვიურად რედაქციას ფართო კავშირურთიერთობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „კომუნისტთან“, სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიების თეორიულ ორგანოებთან.

● „ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝ“

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ტბის კალმახის ორ მილიონზე მეტი ლიფსიტა გადაიყვანეს „საზაფხულო ბინებში“ ნოიბრანდენბურგის ოლქის მეთევზეობის მეურნეობებში. დია წყალსატევებში ჩადგმულ დიდ ბადურ კონტეინერებში ისინი წონაში მოიმატებენ. წლევანდელ გაზაფხულზე ამ ოლქის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარ „თევზის საამქროს“ გუბურებსა და ტბებში გაუშვებენ აგრეთვე სხვა თევზის 50 მილიონ ლიფსიტას.

შიდა წყალსატევებში თევზის სამრეწველო მოშენების გადიდება, საშენების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება რესპუბლიკის მეთევზეობის მეურნეობათა საქმიანობის ძირითადი მიმართულებანია. მათ წინაშე დასახულია ამოცანა მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე (1981-1985 წლები) თევზჭერა გაზარდონ 80 პროცენტით და მოსახლეობას მიაწოდონ 22 ათასი ტონა მდინარისა და ტბის თევზი.

ამ მიზნით რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ხორციელდება ღონისძიებანი ბუნებრივი წყალსაცავების რეკონსტრუქციისათვის, იქმნება ახალი ხელოვნური წყალსატევები.

● ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ელექტრიფიცირებულია დაახლოებით 90 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა. მან ხეჯუს საზღვაო ნავსადგური დაუკავშირა ხვანხეჯუტის პროვინციის ცენტრს, ქალაქ სარივანს. ელექტროწევაზე ამ ხაზის გადაყვანასთან ერთად ელმავლებისათვის გაიხსნა გამჭოლი გზა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ელექტრიფიკაციასთან ერთად განხორციელდა აგრეთვე მისი რეკონსტრუქციის დიდი სამუშაოები, რაც მძიმე წონის შემადგენლობათა ტარების შესაძლებლობას მისცემთ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. პორტ-სტენლისა და პორტ-დარვინის ჰაერიდან დაბომბვის შემდეგ ინგლისის ესკადრა დღეს დილით განაგრძობდა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისათვის ქვემეხების ცეცხლის დაშენას. ინგლისის თავდაცვის სამინისტროს აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ არგენტინის შეიარაღებული ძალების საპასუხო ცეცხლის შედეგად არიან დაჭრილები და ზოგიერთი სამხედრო გემი „უმნიშვნელოდ დაზიანდა“.

აქაური პრესა აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის სამხედრო აქციები ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე მასირებული შეჭრის პრელუდიაა. საჰაერო თავდასხმებს, წერს გაზეთი „ნიუს-ოფ ზე უორლდი“, სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ პირველ ნაბიჯად კუნძულებზე დესანტის გადასხდომისათვის.

ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველნი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს, რომ ინგლისის ესკადრამ დიდი სამხედრო ოპერაციები დაიწყო მას შემდეგ, რაც თეთრმა სახლმა აშკარად დაუჭირა მხარი ინგლისს არგენტინასთან კონფლიქტში. „როგორც მოსალოდნელია, — წერს ამასთან დაკავშირებით „ობსერვერი“, — ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პიმი, რომელიც ვაშინგტონში ჩავიდა, შეერთებულ შტატებს პირველ რიგში სამხედრო დახმარებას სთხოვს“. „ფ. პიმის ამოცანა, — აღნიშნავს გაზეთი, — ახლა ინგლის-ამერიკის ერთობლივი სტრატეგიის კოორდინაციაა“.

როგორც „ობსერვერი“ წერს, ლონდონში“ კვლავინდებურად ცივად ეკიდებიან ინგლის-არგენტინის კონფლიქტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლობის იდეას“. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარის მოწოდებამ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, — აღნიშნავს გაზეთი, — ინგლისის პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის გაავებრება გამოიწვია“.

სამხედრო კონფრონტაციის კურსი, რომელსაც კონსერვატორთა მთავრობა ადგას, მზარდ წინააღმდეგობას აწყდება ბრიტანეთის კუნძულებზე.

როგორც დღეს „სანდი ტაიმსში“ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვა მოწმობს, ხუთი ინგლისელიდან სამი მოითხოვს შეწყდეს სისხლისღვრა სამხრეთ ატლანტიკაში. „გამოკითხვის შედეგები, — წერს გაზეთი, — უნდა მივიჩნიოთ სერიოზულ გაფრთხილებად მთავრობისადმი იმ მომენტში, როცა მისი ბრძანებით აქტიურდება საომარი მოქმედება“.

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. არგენტინის გარნიზონმა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე წარმატებით მოიგერია არქიპელაგის ადმინისტრაციულ ცენტრზე ქალაქ პუერტო-არხენტინოზე (ყოფილი პორტ-სტენლი) ბრიტანეთის საჰაერო-სამხედრო ძალების საჰაერო იერიშები. გუშინ, ნათქვამია არგენტინის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული გენერალური შტაბის ოფიციალურ ცნობაში, ინგლისის ავიაცია ექვსჯერ დაესხა თავს პუერტო-არხენტინოს, რათა მწყობრიდან გამოეყვანა ადგილობრივი აეროდრომი და ჩაეხშო საჰაერო თავდაცვის საცეცხლე წერტილები. არგენტინის მეზენიტეებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავების ერთობლივი მოქმედების შედეგად ინგლისმა დაკარგა „ჰარიერის“ ტიპის სამი ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენი და ორი საბრძოლო ვერტმფრენი. ჯერ კიდევ დაუდასტურებელი მონაცემებით, კიდევ ოთხი „ჰარიერი“ დაზიანდა და ზღვაში ჩავარდა. არგენტინის სამხედრო სარდლობა იუწყება აგრეთვე, რომ ბრიტანეთის ერთ-ერთი ავიამზიდი, როგორც ვარაუდობენ „ჰერმესი“, დაზიანდა. არგენტინის თვითმფრინავებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ინგლისის ფრეგატი, რომელიც მონაწილეობდა პუერტო-არხენტინოზე თავდასხმაში. რაკეტებით აღჭურვილი ამ ტიპის სხვა საბრძოლო გემებთან ერთად იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა საბრძოლო მოქმედების ზონა. საზენიტო ცეცხლით მოიგერიეს ინგლისელების სამი ცდა ვერტმფრენავებით გადაესხა დესანტი ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე.

არგენტინის ვაშინგტონის საელჩომ, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, აღნიშნა, რომ გუშინდელი ბრძოლების დროს სამხრეთ ატლანტიკაში ჩამოაგდეს ინგლისის „ჰარიერის“ ტიპის ხუთი თვითმფრინავი, ორი სხვა კი დაზიანეს.

არგენტინის პრეზიდენტმა ლეოპოლდო გალტიერიმ აღნიშნა, რომ არგენტინას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოიგერიოს ინგლისის აგრესია, რომელმაც შეიარაღებული თავდასხმა მოახდინა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების ადმინისტრაციულ ცენტრზე. ქვეყნისადმი მიმართვაში მან მ. ტეტჩერის მთავრობას დააკისრა მთელი პასუხისმგებლობა სამხრეთ ატლანტიკაში საომარი მოქმედებისათვის, რომელმაც საფრთხე შეუქმნა მშვიდობას არა მარტო დასავლეთ ნახევარსფეროში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

არგენტინის პრეზიდენტმა მკაცრად დაგმო შეერთებული შტატები, რომელმაც არა მარტო უარი თქვა შეესრულებინა ინგლისთან კონფლიქტში არგენტინის მხარდასაჭერად ხმების უმრავლესობით მიღებული ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის რეზოლუცია, არამედ აშკარად დაუჭირა მხარი დიდი ბრიტანეთის კოლონიურ პრეტენზიებს.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა იძულებულია უპასუხოს აგრესიას, მაგრამ იგი კვლავაც შეეცდება გამოძებნოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზები.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. არგენტინამ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას პროტესტით მიმართა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო კონფლიქტში ვაშინგტონის აშკარად პროინგლისურ პოზიციასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აშკარად დაუჭირა მხარი აგრესორს, ნათქვამია წერილში. ვაშინგტონის ამგვარი ნაბიჯი შეიძლება „ამერიკის სახელმწიფოთა სისტემის ნამდვილ გათიშვას“ მოასწავებდეს.

ᲨᲐᲕᲑᲜᲔᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის საზოგადოებას ფაქტობრივად შავბნელი ეპოქა დაუდგა, წერს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორის“ ფურცლებზე ცნობილი მწერალი-ფანტასტი აიზეკ აზიმოვი. „თვითმარქვია ცენზორები შეესევიან სკოლებსა და ბიბლიოთეკებს, თაროებიდან ყრიან ამა თუ იმ ნაწარმოებებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შეიცავენ მათი აზრით არასწორ იდეებს, ან ისეთ აზრებს რომლებიც ეწინააღმდეგება მათ საკუთარ მსოფლმხედველობას“, — წერს იგი.

ცნობილი ამერიკელი მწერლის შეშფოთება სავსებით გამართლებულია. ბოლო წლებში შეერთებული შტატების მმართველმა ელიტამ განსაკუთრებით ფართოდ დაიწყო ცენზურის გამოყენება, რათა არ დაუშვას ამერიკის საზოგადოებაში „კრამოლური შეხედულებების“, წიგნებისა და მისთვის არასასურველი სხვა მხატვრული ნაწარმოების გავრცელება.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, მათ უპირველეს ყოვლისა განეკუთვნება ნაწარმოებები, რომლებშიც „მოცემულია უკეთური წარმოდგენა ამერიკის ხელისუფლებზე, გაკრიტიკებულია კორპორაციების საქმიანობა, გამოთქმულია რადიკალური პოლიტიკური იდეები“.

ამის შედეგად პოლიტიკური ცენზურის მსხვერპლი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გახდა ისეთი წიგნები, როგორიც არის ჯ. სელინჯერის მოთხრობა „თამაში ჭვავის ყანაში“, ე. ჰემინგუეის რომანი „მშვიდობით იარაღო“, მ. ტვენის რომანი „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ და თანამედროვე კლასიკური ამერიკელი მწერლების მრავალი სხვა ნაწარმოებები, რომლებიც შევიდნენ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ცენზორების როლის შემსრულებელი ბნელეთის მოციქულები, რომლებიც, როგორც წესი სხვადასხვა ჯურის რეაქციულ ორგანიზაციებს ეკუთვნიან, არ სჯერდებიან მხოლოდ „წიგნების აკრძალვას“. ხშირად ისინი, როგორც დიდი ინკვიზიციის ხანაში იყო, საჯაროდ სწვავენ მათ. წვავენ კოცონებზე.

სულ, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის გამოანგარიშებით, აკრძალული წიგნების რიცხვი მარტო ქვეყნის სკოლებში 1980 წლიდან გაიზარდა სამჯერ წინა წლებთან შედარებით.

ამერიკელი ბნელეთის მოციქულები, რომლებიც ანადგურებენ მაღალ მხატვრულ ნაწარმოებებს და ამტკიცებენ, რომ ისინი იბრძვიან ამერიკის შეერთებული შტატების ზნეობის სიწმინდისათვის, სრულიად არ აქცევენ ყურადღებას ბინძურ, ვულგარულ ნაბეჭდს, ქვეყნის წიგნის ბაზარი რომ წალეკა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ. სახალხო მონღოლეთში დამთავრდა საამაკო და საქალაქო პროფკავშირული კონფერენციები. ისინი მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა მონღოლეთის პროფკავშირების მომავალი XII ყრილობისათვის მშრომელთა მზადების გზაზე.

ამ კონფერენციებზე, რომლებმაც საქმიან ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს ქვეყნის ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობის სრულყოფის ამოცანები მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, შეაჯამეს განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგები.

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აკრძალა ექსტრემისტული სეპარატისტული ორგანიზაციის „დალ ჰალსის“ საქმიანობა, რომელიც ცდილობს ქვეყანას ჩამოაცილოს პენჯაბის შტატი და მის ბაზაზე შექმნას „ჰალისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

„ᲛᲖᲘᲣᲠᲘ“ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

„ᲡᲐᲙᲣᲠᲐ“ — იაპონური ხალხური სიმღერა ალუბლის მშვენიერი ყვავილობის შესახებ შეტანილია ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბავშვთა ვოკალურ ანსამბლ „მზიურის“ რეპერტუარში. 6 მაისს წითელყელსახვევიანი ნორჩი მსახიობები გაემგზავრებიან ამომავალი მზის ქვეყანაში, სადაც 11-27 მაისს მოეწყობა საბჭოთა კავშირის დღეები საქართველოს მონაწილეობით.

პოპულარული კოლექტივის წევრი — ცამეტი გოგონა იქ წარმოადგენს საბჭოეთის ქვეყნის ბავშვთა მხატვრულ შემოქმედებას. პროგრამაში დიდ ადგილს დაიკავებს საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, ქართული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები, მსოფლიოს ხალხთა მელოდიები.

ახლანდელი მზიურელები განაგრძობენ თავიანთი იმ წინამორბედების ტრადიციებს, რომლებიც გაიზარდნენ და თავიანთ კოლექტივს დაემშვიდობნენ. ნორჩ მსახიობთა მეორე თაობამ უკვე მოასწრო უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის მსმენელთა მოჯადოება. გოგონათა ბრწყინვალე შემოქმედება, მათი წკრიალა, მთის ნაკადულივით სუფთა ხმები, არავის არ ტოვებს გულგრილს.

— დიდი მღელვარებით ველით იაპონელ მაყურებელთან შეხვედრას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ანსამბლის მხატვრულმა ხელმძღვანელმა გურამ ჯაიანმა. — მსმენელებს შევთავაზებთ რეპერტუარს, რომელშიც აისახება საბჭოთა ბავშვების ნათელი და კეთილი სამყარო. ესენია სიმღერები მეგობრობის, მშვიდობისა და ჩვენი პლანეტის უღრუბლო ცის შესახებ. ისინი განსაკუთრებული გრძნობით აჟღერდება იმ ქვეყანაში, რომელმაც გადაიტანა ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედია. კონცერტებს გავმართავთ იაპონიის ათ ქალაქში, ჩვენი გამოსვლები დამთავრდება ტოკიოში.

იაპონელები გაეცნობიან ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებასაც: დღეებში მონაწილეობას მიიღებენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მოცეკვავეთა ანსამბლ „შევარდენის“ სოლისტები ლ. ნიკოლაძის მხატვრული ხელმძღვანელობით.

საბჭოთა საქართველო იაპონიაში წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ეროვნული გამოყენებითი ხელოვნების, მხატვრული ფოტოგრაფიის, ბავშვთა ნახატების გამოფენებით. ეს ექსპოზიციები იაპონელებს საშუალებას მისცემს გაეცნონ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოძმე რესპუბლიკის ისტორიასა და დღევანდელ დღეს, რომელიც სხვა საბჭოთა ხალხებთან ერთად ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნავს სსრ კავშირის შექმნის სახელოვან მე-60 წლისთავს.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ— ᲘᲛᲔᲓᲘ ᲮᲕᲐᲚᲘᲡ!

ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ კვირადღეს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურში სტუმრად მხოლოდ ერთმა გუნდმა — ცსკამ გაიმარჯვა: ოდესის „ჩერნომორეცთან“ (2:0), სამმა მასპინძლად: მოსკოვის „დინამომ“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ (3:0), ალმა-ათის „ყაირათმა“ — ბაქოს „ნეფთჩისთან“ (2:0), ერევნის „არარატმა“—კრასნოდარის „ყუბანთან“ (2:1), დანარჩენი ოთხი მატჩი კი ფრედ დამთავრდა: კიევის „დინამოსი“ — მოსკოვის „ტორპედოსთან“ (0:0), მოსკოვის „სპარტაკისა“ — ხარკოვის „მეტალისტთან“ (0:0), ტაშკენტის „ფახთაქორისა“—ქუთაისის „ტორპედოსთან“, და ბოლოს, თბილისის „დინამოსი“ — დონეცკის „შახტიორთან“ (2:2).

ᲫᲜᲔᲚᲘ მატჩი ჰქონდათ ქუთაისელებს, რომლებმაც ტაშკენტში ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან „ფახთაქორთან“ ითამაშეს და მეტად საჭირო ქულაც მოიპოვეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ქუთაისელთა მეკარე ქანთარია, რომელმაც 11-მეტრიანი დარტყმა მოიგერია. მის გარდა „ტორპედოს“ შემადგენლობაში იყვნენ: გვაძაბია, ჰილაია, მელიქია, ქელიძე, კორღალიძე (გოგოლაძე), მ. მაჩაიძე, ჟორდანია (ჩქარეული), მეგრელაძე, დარჯანია, ბურკაძე.

დუბლიორთა მატჩი ქუთაისელებმა წააგეს ანგარიშით 0:5.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამო“ რომ ამჟამად არაერთი ძნელად გადასაწყვეტი პრობლემის წინაშე დგას, ყველამ იცის. დონეცკის „შახტიორთან“ განვლილ მატჩშიც გუნდმა საკმაოდ სახეშეცვლილი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ანდღულაძე, ხიზანიშვილი, ხინჩაგაშვილი (კაკილაშვილი), მუჯირი, დარასელია, სვანაძე, თავაძე, ქვანია, ცავა, ჩელებაძე (მესხი). როგორც ხედავთ, ძირითად მოთამაშეთაგან ამჯერად კოლექტივს აკლდნენ ჩივაძე, სულაქველიძე, შენგელია (ნაკრებში გაიწვიეს), ყიფიანი და გუცაევი (ტრავმების გამო ვერ ითამაშეს). ეს უკვე ნახევარი გუნდია და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ პირველ ტაიმში თბილისელებს ერთობ გაუჭირდათ შემადგენლობის სრულიად ახალი მოდელით თამაში. აქი ძირითადად დაცვის ხაზში დუნედ მოქმედების გამო ორი გოლიც მივიღეთ (ბურთები გაიტანეს რაგოვსკიმ მე-15 წუთზე და იურჩენკომ — 31-ე წუთზე). განსაკუთრებით შესვენების შემდეგ ტონის მიმცემი მასპინძელთა გუნდში ახალგაზრდობა იყო: სხვა უფრო გამოცდილ თანაგუნდელებთან ერთად ცავამ, კაკილაშვილმა, ქვანიამ და უმცროსმა მიხეილ მესხმა იხსნეს გუნდი დამარცხებისაგან. კონკრეტულად კი 55-ე წუთზე ცავამ გაქვითა ერთი გოლი, ხოლო თამაშის მიწურულს მესხმა შესაშური სიმშვიდით შეასრულა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა და ანგარიშში წონასწორობა აღდგა.

დინამოელმა დუბლიორებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა არზიანმა.

არცთუ დიდი ხნის წინათ დინამოელთა ძირითად შემადგენლობაში ცავას გამოჩენამ მიგვანიშნა, რომ ჩვენს კოლექტივს რეზერვში ჰყავს ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც არ უნდა გაუჭირდეს უფრო გამოცდილთა მხარის აბმა. გარკვეული იმედი მოგვცა მესხმაც, რომელმაც განვლილ მატჩში დონეცკელი მცველები არაერთხელ ჩააგდო საგონებელში.

დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასე არიან განლაგებული:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი“	8	5	1	2	11-10	11
„ფახთაქ.“	8	4	3	1	8- 6	11
„ყაირათი“	8	4	2	2	11- 8	10
„სპარტაკი“	7	3	3	1	6- 2	9
„დინ.“ (კ)	6	3	2	1	10- 3	8
„დინ.“ (მნ)	6	3	2	1	6- 6	8
„დინ.“ (თბ)	5	3	1	1	11- 7	7
„ყუბანი“	8	3	1	4	13-13	7
„ზენიტი“	6	2	3	1	4- 2	7
„მეტალისტი“	7	2	3	2	6- 5	7
ცსკა	7	3	0	4	7- 9	6
„დინ.“ (მ)	8	2	2	4	8-11	6
„დნეპრი“	7	2	2	3	6-11	6
„ნეფთჩი“	7	2	1	4	7- 9	5
„ტორპ.“ (ქ)	7	1	3	3	6- 8	5
„ტორპ.“ (მ)	7	1	3	3	3- 6	5
„ჩერნომ.“	7	1	2	4	2- 6	4
„შახტიორი“	7	0	4	3	7-10	4

„შახტიორთან“ თბილისის „დინამოს“ მატჩის საყამო ანგარიში მხოლოდ იმით გვაკმაყოფილებს, რომ ქულა გადავარჩინეთ და ამასთან შევინარჩუნეთ პოტენციური ლიდერის („დინამოს“ დაკარგული აქვს ყველაზე ნაკლები — 3 ქულა) პოზიცია. მაგრამ ეს პოზიცია ჯერჯერობით ხომ თეორიულ შესაძლებლობათა კატეგორიას მიეკუთვნება და საჭიროა მისი პრაქტიკული განხორციელება. ცხადია, შექმნილ ვითარებაში უწინარესად აუცილებელია უახლოესი კალენდარული მატჩებისათვის გუნდის ძირითადი შემადგენლობის ოპტიმალური ვარიანტის მიგნება. ეს, მართლაც, ერთობ ძნელი ამოცანაა, რომლის ხორცშესხმა განსაკუთრებული სიფრთხილის, წინდახედული და მრავალგზის მოზომილი მოქმედების გარეშე შეუძლებელია.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲗᲐᲡᲡ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲜᲔᲜ

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲝᲚᲨᲘ დამთავრდა ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი კალათბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება 1969-70 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. წარმატებით იასპარეზა თბილისის „ნორჩი დინამოელის“ გუნდმა (მწვრთნელები ლ. ინწკირველი და ჯ. ხუხაშვილი), რომელმაც ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და გარდამავალი თასი მოიპოვა. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს დინამოელი გია ხუხაშვილი.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. იტალიის გზებზე მიმდინარეობს მრავალდღიანი ველორბოლა „ჯირო დელე რეჯიონი“. ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერობს კუიბიშეველი ი. მიშჩენკო. მეორე ადგილზე მისი თანაქალაქელი ვ. დემიდენკო.

ᲤᲠᲔᲜᲖᲣᲠᲗᲘ. რიგაში დამთავრდა ახალგაზრდობის III საკავშირო სპორტული ასპარეზობების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭაბუკთა გუნდებს შორის. საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ნაკრები გუნდები. საქართველოს სპორტსმენებმა მერვე ადგილი დაიკავეს.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

3 ᲛᲐᲘᲡᲡ თბილისში 9 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივი დროით მოხდა დაახლოებით ოთხი ბალის მიწისძვრა. მას არ გამოუწვევია რაიმე ნგრევა.

— მიწისძვრის ეპიცენტრი იყო რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 120 კილომეტრზე, დასახლებული პუნქტებისაგან მოშორებული მდინარე იორის ხეობაში, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვართან, — აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიური ობსერვატორიის „თბილისის“ გამგემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ახალბედაშვილმა.

ეპიცენტრში მიწისძვრა ბიძგი იგრძნობოდა დაახლოებით ექვსი ბალის ძალით.

— მდინარე იორის ხეობაში დედამიწის ქერქში გადის გეოლოგიური ნარღვევის ხაზი, — თქვა მიწისძვრის მიზეზის განმარტებისას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის რეგიონალური სეისმოლოგიური ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გოცაძემ, — ამ რაიონში წინათაც არაერთხელ მომხდარა მიწისძვრა. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი რესპუბლიკის სეისმოლოგიურმა სადგურებმა 1979 წელს აღნიშნეს. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუკის თანახმად, აქ შესაძლებელია შვიდ ბალამდე ძალის მიწისძვრები.

გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი 6-გვერდიანია.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

4 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“, 9.45 — ნორჩთა შემოქმედება, 10.10 — მხატვრული ფილმი „ორი შფოთიანი დღე“, 11.35 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 15.50 — ხუთწლედი თითოეულის საქმეა. დოკუმენტური ტელეფილმების პროგრამა, 17.00 — კონცერტი, 17.30 — ლეონიდე ლეონოვი — „შემოსევა“, 18.15 — ქვეყნის ველ-მინდვრებში, 18.30 — „სალუტ, პიონერია!“, 19.15 — ადამიანი და კანონი, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ჩვენ ვაშენებთ ბამს, 20.30 — კინოეპოპეა „განთავისუფლება“. ფილმი II — „გარღვევა“, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — გაზეთ „პრავდის“ 70-ე წლისთავის გამო. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა „პრავდაზე“. პრემიერა, 23.40 — დღეს მსოფლიოში, 23.55 — ს. რახმანინოვის რომანსები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 9.35 და 13.05 — საჭადრაკო სკოლა, 10.05 და 12.05 — ფრანგული ენა, 10.35 და 11.35 — ისტორია. მე-5 კლასი, 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის, 12.35 და 13.35 — ფიზიკა. მე-8 კლასი, 14.05 — დიდი სამამულო ომის პოეზია, 14.50 — ეკრანი — მასწავლებელს. საზოგადოებათმცოდნეობა, მე-10 კლასი, 15.20 — შრომის თემა საბჭოთა დრამატურგიაში, 19.20 — მხიარულ ტალღაზე, 20.20 — ბრძოლისა და შრომის პოეზია, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“, 21.15 — ხალხური მელოდიები, 21.30 — ერთი კვირის სპორტული ამბები, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — საზღვარგარეთული ფილმის ეკრანი. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ფურცელი ალბომში“.

4 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია“ (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოლიმპიური ხასიათი“, 10.00 „მოამბე“, 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის“ — „ჩვენს დიად სამშობლოში“, დოკუმენტური ფილმი „მე, ატომმსხლელი „ციმბირი“, 11.00 — საგაზაფხულო კინოფესტივალი. „ქართული კინოს ისტორიიდან“ — მხატვრული ფილმი „ორი მონადირე“, 12.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ანთიმოზ ივერიელი“, 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი, 13.30 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 14.00 — ახალგაზრდობისათვის — „გაუმარჯოს გულახდილობას“, 16.20 — დოკუმენტური ფილმი, 17.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.35 — მოსწავლეთათვის — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მე მოვედი“, 18.40 — მოსწავლეთათვის — „მადლობა პარტიას“, 19.15 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ირაკლი ონოფრიშვილი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — გაზეთ „პრავდის“ 70-ე წლისთავისათვის — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა „პრავდაზე“ (პრემიერა მ.), 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა: 17.05 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 17.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჩვენ და ბუნება“, 18.45 — განცხადებები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

4 ᲛᲐᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — პირველი სიყვარული (36-ე ჯზონ. VI წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი; მეტეხის თეატრი — ქართული ნოველების საღამო.

КОМУНИСТИ ИНДЕКС уэ 09211 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20